2020; იუნგი, 2020). ნებისმიერ შემთხვევაში, ხელოვნური ინტელექტი და განათლება უკვე დიდი ხანია იქცა სფეროდ, სადაც დომინანტი პოზიცია უკავია კომპიუტერზე ორიენტირებულ შეხედულებებს და არასათანადო ყურადღება ექცევა პედაგოგიკას, განათლების სპეციფიკურ ბუნებას და ბავშვის განვითარებას: „ჩვენ შეგვიძლია ეს საკითხი მივანდოთ სხვებს (კომპიუტერული სფეროს მკვლევრებს, ხელოვნური ინტელექტის ინჟინრებს და მსხვილ ტექნოლოგიურ კომპანიებს), რათა მათ გადაწყვიტონ, თუ როგორ განვითარდეს ხელოვნური ინტელექტი განათლებაში, ან შეგვიძლია ჩვენ თვითონ ჩავერთოთ პროდუქტიულ დიალოგში“ (ჰოლმსი და სხვ. 2019: 180).

ნაწილი III

ხელოვნური ინტელექტი, ადამიანი, ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა

ბელოვნური ინტელექტის ზეგავლენა ევროპის საბჭოს მიერ განსაზღვრულ ძირითად ღირებულებებზე – ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა – დეტალურად იქნა შესწავლილი დიდი ბრიტანეთის ალან ტურინგის ინსტიტუტის მიერ.

მთავრობებმა უნდა აირჩიონ ფრთხილი მიდგომა ხელოვნური ინტელექტის დანერგვისა და რეგულირებისას, რათა დაბალანსდეს ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები და უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანებისა და მათი ინტერესების წინაშე არსებული რისკების მაქსიმალური შემცირება (ლესლი და სხვ. 2021: 16).

თუმცაღა, ზემოთ აღნიშნული კვლევა „ხელოვნური ინტელექტი, ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა: გზამკვლევი“ (ლესლი და სხვ. 2021) არ არის ფოკუსირებული უშუალოდ ხელოვნურ ინტელექტსა და განათლებას შორის კავშირების შედგად წარმოშობილი გამოწვევების დაძლევაზე.

მესამე ნაწილში ყურადღება კვლავ დაეთმობა ალან ტურინგის ინსტიტუტის ანგარიშს და განვიხილავთ განათლებას, როგორც ხელოვნური ინტელექტის სპეციფიკური გამოყენების სფეროს. მაშ ასე, წარმოგიდგენთ კვლევას განათლების სფეროსთვის შექმნილი ხელოვნური ინტელექტის სისტემების შესახებ ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის თვალთახედვიდან, სადაც კრიტიკულად გავანალიზებთ ამ სისტემების საგანმანათლებლო გარემოში გამოყენებასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და შედეგებს.

3.1. ხელოვნური ინტელექტი, განათლება და ადამიანის უფლებები

3.1.1. რას ნიშნავს ადამიანის უფლებები

დასაწყისისთვის და ქვემოთ დისკუსიისთვის მტკიცე საფუძვლის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან არსებობს მთელი რიგი არასწორი ინტერპრეტაციები, საჭიროა, ვუპასუხოთ შემდეგ კითხვას: კონკრეტულად რას გულისხმობს ადამიანის უფლებები?

ადამიანის უფლებები ნიშნავს როგორც კონკრეტული ადამიანის, ასევე, ადამიანთა ჯგუფების ნებისმიერი წევრის პატივისცემასა და ადამიანის ღირსების გარანტირებულ დაცვას (ევროპის საბჭო)⁷⁹

ადამიანის უფლებებში იგულისხმება ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც მსოფლიოში მცხოვრები ნებისმიერი ადამიანის საკუთრებაა, დაბადების მომენტიდან გარდაცვალებამდე. ადამიანის უფლებები ვრცელდება განურჩევლად ადამიანის საცხოვრებელი ადგილისა, მრწამსისა თუ არჩეული ცხოვრებისეული გზისა. ადამიანის უფლებები მარადიულია და არავის აქვს მათი წართმევის უფლება. ადამიანის უფლებების საფუძველია საერთო ღირებულებები, როგორებიცაა ღირსება, სამართლიანობა, თანასწორობა, პატივისცემა და დამოუკიდებლობა. საყოველთაო ღირებულებები დადგენილი და დაცული უნდა იქნეს კანონმდებლობით (თანასწორობისა და ადამიანის უფლებათა კომისია)⁸⁰

Amnesty International⁸¹ გვთავაზობს დამატებით განმარტებას:

- ▶ ადამიანის უფლებები ნიშნავს ძირითად თავისუფლებებსა და დაცულობას, რაც ყველა ადამიანის უფლებაა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ადამიანებად დაიბადნენ. ადამიანის უფლებები დაცულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მეშვეობით.
- ▶ ადამიანის უფლებები უნივერსალურია: ეკუთვნის ყველა ადამიანს, განურჩევლად რასისა, სქესისა, ეროვნებისა, მოქალაქეობისა, ეთნიკური წარმომავლობისა თუ ფიზიკური შესაძლებლობებისა.
- ▶ ადამიანის უფლებები თანდაყოლილია: ჩვენ ყველანი ვიბადებით თანდაყოლილი უფლებებით. ისინი ეკუთვნის ადამიანებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ადამიანებად დაიბადნენ.

79. www.coe.int/en/web/portal/what-are-human-rights.

80. თანასწორობისა და ადამიანის უფლებათა კომისია (დიდი ბრიტანეთი), www.equalityhumanrights.com/en/human-rights/what-are-human-rights.

81. „რას ნიშნავს ადამიანის უფლებები?“
<http://www.amnesty.eu/about-amnesty-international/>.

- ▶ ადამიანის უფლებები განუყოფელია: მათი წართმევა ან ჩამორთმევა შეუძლებელია. არცერთ ადამიანს, კორპორაციას, ორგანიზაციას ან მთავრობას არ აქვს უფლება წაართვას ადამიანს მისი უფლებები.
- ▶ ადამიანის უფლებები შეიძლება დაირღვეს: მიუხედავად მათი განუყოფლობისა, ადამიანის უფლებები არ არის ხელშეუხებელი. უფლების დარღვევამ შეიძლება ხელი შეუშალოს ადამიანს საკუთარი უფლებებით სარგებლობაში, თუმცა არ უნდა დააბრკოლოს ადამიანი, ისარგებლოს სხვა დანარჩენი უფლებებით.
- ▶ ადამიანის უფლებები აუცილებელია: ისინი აუცილებელია თავისუფლებისთვის, სამართლიანობისა და მშვიდობისათვის.

3.1.2. საერთაშორისო ხელშეკრულებები

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ადამიანის უფლებები მრავალ საერთაშორისო შეთანხმებაში აისახა, მათ შორის, 1948 წელს დამტკიცებულ გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (UDHR)⁸², ასევე, 1953 წელს მიღებულ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში (შემდგომში „კონვენცია“)⁸³. კონვენცია, მაგალითისთვის, კრძალავს არა-ადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას, ან დასჯას (როგორცაა სიკვდილით დასჯა, წამება, მონობა და დისკრიმინაცია) და იცავს შემდეგ უფლებებს:

- ▶ სიცოცხლის, თავისუფლებისა და დაცულობის უფლება;
- ▶ პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება;
- ▶ სიტყვისა და გამოხატვის უფლება;
- ▶ სიტყვის, სინდისისა და რელიგიური მრწამსის თავისუფლების უფლება;
- ▶ ხმის მიცემისა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება;
- ▶ სამართლიანი სასამართლოს უფლება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში;
- ▶ საკუთრებისა და საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლება.

წინამდებარე ანგარიშისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია კონვენციის №1 ოქმის მე-2 მუხლი, რომელიც იცავს ბავშვის უფლებას განათლების მიღების მიმართ და მიუთითებს, რომ „სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს

82. www.un.org/en/about-us/universal-declaration-of-human-rights.

83. www.echr.coe.int/documents/convention_eng.pdf.

მშობლების უფლებას, უზრუნველყონ განათლების მიწოდება საკუთარი რელიგიური და ფილოსოფიური რწმენის შესაბამისად.⁸⁴

დაბოლოს, „საერთაშორისო ხელშეკრულება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ (ICESCR) მოიცავს ორ მუხლს, სადაც ხაზგასმულია ბავშვის უფლება განათლების მიღების მიმართ და ნათქვამია, რომ „განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნებისა და მისი ღირსებების შემცნების სრული განვითარებისკენ“⁸⁵. ამ ხელშეკრულების მე-13 მუხლი არა მხოლოდ ყველაზე მასშტაბური, არამედ ყველაზე ფართო და ყოვლისმომცველი მუხლია განათლების უფლების შესახებ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში.

3.1.3. ბავშვის უფლება

ბავშვებისადმი მტკიცე ვალდებულების გაცნობიერების გარეშე, ჩვენ საფრთხის ქვეშ ვაყენებთ არა მხოლოდ მრავალი ადამიანის ბედს, არამედ საზოგადოების სიმტკიცეს. ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის დაცვა აბსოლუტურად აუცილებელია. ყველა ბავშვს დაბადებიდანვე აქვს თანდაყოლილი ღირსება და უნდა ჰქონდეს განვითარების თანაბარი შესაძლებლობა, მიუხედავად მისი სოციალური წარმოშობისა, სქესისა, დაბადების ადგილისა თუ ოჯახური მდგომარეობისა... რადგან თუ ჩვენ არ დავიცავთ ბავშვების უფლებებს, მაშინ ვინ ვიქნებით ჩვენ და რა ბედი ელის კაცობრიობას და ღირებულებებს? რადგან თუ ჩვენ არ ვიმოქმედებთ ახლა, მაშ, როდის უნდა ვიმოქმედოთ? (მიშელ ბაჩელეტი, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი⁸⁶).

განათლების სექტორისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 1989 წელი, როდესაც გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა დაამტკიცეს გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენცია“(UNCRC)⁸⁷. კონვენციის ცენტრალურ ფოკუსს წარმოადგენს პატივისცემა ბავშვის შესაძლებლობებისა და უნარების განვითარების მიმართ. კონვენციაში ნათქვამია, რომ ვინაიდან ბავშვები ფიზიკურად, გონებრივად და ემოციურად ვითარდებიან, მათ დამატებით ესაჭიროებათ კონკრეტული და უნიკალური უფლებები. ესენია:

84. გზამკვლევი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის N1 ოქმის მე-2 მუხლის შესახებ – განათლების უფლება, www.echr.coe.int/documents/guide_art_2_protocol_1_eng.pdf.

85. www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-covenant-economic-social-and-cultural-rights.

86. www.ohchr.org/en/statements/2019/05/stop-war-children-symposium.

87. www.unicef.org.uk/wp-content/uploads/2016/08/unicef-convention-rights-child-uncrc.pdf.

- ▶ სიცოცხლის შენარჩუნებისა და ჯანსაღი განვითარების უფლება;
- ▶ დისკრიმინაციისგან დაცვის უფლება;
- ▶ სახელისა და ეროვნების ქონის უფლება;
- ▶ მშობლების ან სხვა პასუხისმგებელი პირებისგან ზრუნვის მიღების უფლება;
- ▶ ნებისმიერი ფორმის ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან დაცვის უფლება;
- ▶ ჯანმრთელობისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლება;
- ▶ სათანადო პირობებში ცხოვრების უფლება, რაც დაეხმარება ბავშვს განვითარებაში;
- ▶ განათლების მიღების უფლება;
- ▶ დასვენების, თამაშისა და კულტურული განვითარების უფლება;
- ▶ ამრის გამოხატვისა და მისი გათვალისწინების უფლება;
- ▶ საკუთარი შეხედულების, რწმენისა და რელიგიური მრწამსის ქონის უფლება;
- ▶ სხვა ბავშვებთან ერთად, ჯგუფებსა და ორგანიზაციებში შეხვედრისა და გაწევრიანების უფლება;
- ▶ კონფიდენციალობის დაცვის უფლება;
- ▶ ინფორმაციაზე წვდომის უფლება;
- ▶ ეკონომიკური ექსპლუატაციისგან დაცვის უფლება;
- ▶ ლტოლვილი ბავშვებისთვის განსაკუთრებული დაცვის უფლება;
- ▶ შემზღვევითი შესაძლებლობის მქონე ბავშვების განსაკუთრებული დაცვისა და მხარდაჭერის უფლება;
- ▶ უმცირესობათა ბავშვების უფლება, ისწავლონ და გამოიყენონ თავიანთი ოჯახის ენა, რელიგია და ტრადიციები;
- ▶ საომარი მოქმედებების გამო დაზარალებული ბავშვების განსაკუთრებული დაცვის უფლება.

მნიშვნელოვანია, გავაცნობიეროთ, რომ განათლება კავშირშია ბავშვის უფლებებთან. განათლება „ასრულებს ადამიანის უფლებების გამძლიერებლის როლს, რაც იმას ნიშნავს, რომ უფლებები უფრო ძლიერდება, როდესაც ხდება მათი სრულყოფილად გამოყენება, ხოლო ზიანდება, როდესაც არ ხდება უფლებებით სარგებლობა“ (ლუნდი, 2021). ასევე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბავშვის უფლებების დაცვასაც ახლავს სირთულეები. მაგალითად:

დეკონტექსტუალიზებული დისკურსი არ ითვალისწინებს საცხოვრებელ პირობებს, სოციალურ, ეკონომიკურ და ისტორიულ კონტექსტს, რომელშიც ბავშვები იზრდებიან, რომელიც შეიძლება იყოს ძალიან მრავალფეროვანი და რომელშიც ბავშვის უფლებების რეალიზება უნდა ხორციელდებოდეს. ასევე, არ ითვალისწინებს ბავშვებს შორის უზარმაზარ განსხვავებულობას, კერძოდ, კი ასაკობრივ სხვაობას. (რეინარტი და სხვ. 2009: 528)

გარდა ამისა, აუცილებელია, რომ მკვლევრები ფოკუსირდნენ ბავშვის ინტერესებსა და უფლებებზე, ასევე, ყურადღებით შეისწავლონ ჯგუფები, რომლებიც შესაძლოა გახდნენ დისკრიმინაციის მსხვერპლნი ან შეეღობათ უფლებები (ლუნდი და სხვ. 2019).

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციაში“⁸⁸ ხაზგასმითაა აღნიშნული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლება განათლების მიმართ, რაც ავალდებულებს კონვენციის ხელმომწერ ქვეყნებს, დაეხმარონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, იქონიონ წვდომა, სხვა ბავშვების მსგავსად, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და სისტემებზე. იმავდროულად, „ბავშვის უფლებათა კომიტეტმა“⁸⁹ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ძირძველი ერების ბავშვებზე, მათ უფლებებსა და საჭიროებებზე და ხაზგასმით აღნიშნა სახელმწიფოების ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ ეს ყველაფერი ადეკვატურად აისახოს სასწავლო გეგმებში, სასწავლო მასალებში, სწავლების მეთოდებსა და პოლიტიკაში. თუმცა, ფაქტია, რომ პრაქტიკაში ყველაფერი არც თუ ისე მარტივადაა: „პრობლემები უკავშირდება ტოკენიზმს, ძალაუფლებათა განაწილების გადაუჭრელ საკითხებს, წვრილმან საკითხებზე კონსულტაციებს, ზოგიერთი ბავშვის ჩართულობას, თუმცა სხვების გარიყვას. გარიყულ ჯგუფებში შედიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებისა და მცირეწლოვანი ბავშვები“ (რენარტი და სხვ. 2009: 5).

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ ეფექტურობა, ბავშვის უფლებების დაცვის კუთხით, შეზღუდულია სუსტი, საერთაშორისო აღსრულების მექანიზმებისა და არათანაბარი შიდა იმპლემენტაციის გამო (კოლინსონი და პერსონი, 2021). მიუხედავად ამისა, „ბავშ-

88. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“ და დამატებითი ოქმი (A/RES/61/106) დამტკიცდა 2006 წელს. 24-ე მუხლი ეძღვნება განათლებას, www.un.org/development/desa/disabilities/convention-on-the-rights-of-persons-with-disabilities.html.

89. იხილეთ: www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/GC.11_indigenous_New.pdf

ვის უფლებათა კონვენცია“ მაინც რჩება ყველაზე ფართოდ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებად ადამიანის უფლებათა შესახებ, დღემდე წარმოადგენს კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოს, ასევე, ეთიკურ და სამართლებრივ ჩარჩოს კორპორაციებისა და სახელმწიფოების პროგრესისა და რეგრესის შესაფასებლად.

დაბოლოს, კავშირი ადამიანის უფლებებსა და ბავშვს შორის სცილდება ადამიანის უფლებების ოთხ ფუნდამენტურ ასპექტს – დაცვა, პრევენცია, უზრუნველყოფა და მონაწილეობა – და გულისხმობს მოზარდების საჭიროებას, გაეცნონ და გააცნობიერონ თავიანთი უფლებები. ამ მიზნით, 2010 წელს ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა დაამტკიცეს „ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა განათლების შესახებ“⁹⁰. აღნიშნულ დოკუმენტში განათლება ადამიანის უფლებების შესახებ განმარტებულია, როგორც აუცილებლობა, გაფართოვდეს ბავშვებისა და მოსწავლეების შესაძლებლობები, რათა „მათ თავიანთი წვლილი შეიტანონ საზოგადოებაში ადამიანის უფლებების უნივერსალური კულტურის ჩამოყალიბებასა და დაცვაში, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ხელშეწყობისა და გაძლიერების მიზნით“ (ევროპის საბჭო, 2010: 7).

3.1.4. ადამიანის უფლებაი, ხელოვნური ინტელექტი და განათლება

ძალზედ მცირეა ისეთი ლიტერატურა, რომელიც კონკრეტულად ფოკუსირდება ან თუნდაც შინაარსიანად მსჯელობს ხელოვნურ ინტელექტზე, განათლებასა და ადამიანის უფლებებზე. აქედან გამომდინარე, ქვემოთ მოცემულ ნაწილში ჩვენ დავეყრდნობით ტურინგის ინსტიტუტის ნაშრომს „ხელოვნური ინტელექტი, ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა: გზამკვლევი“ (ლესლი და სხვ; 2021), ყურადღებას გავამახვილებთ ადამიანის უფლებებსა და ბავშვის უფლებებზე, გავაანალიზებთ ამ უფლებებს, ასევე, ხელოვნურ ინტელექტსა და განათლებას შორის არსებულ ორმხრივ შედეგებს.

► განათლების უფლება

ხელოვნური ინტელექტი ხშირად შემოთავაზებულია როგორც საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ბავშვისთვის ხარისხიან გა-

90. www.coe.int/en/web/edc/charter-on-education-for-democratic-citizenship-and-human-rights-education.

განათლებაზე წვდომას⁹¹, თუმცა ის, თუ რას ნიშნავს ხარისხიანი განათლება, კომპლექსური საკითხია. დღესდღეობით, განათლების მიღების უფლებით სარგებლობისას, მოსწავლეები სულ უფრო მეტად დამოკიდებულნი არიან ციფრულ ტექნოლოგიებზე. ამან შესაძლებელია მოსწავლეები მოწყვლად მდგომარეობაში ჩააყენოს ადამიანის, იურიდიულ და სოციალურ უფლებებთან მიმართებაში. ამავდროულად, ადამიანის უფლებათა დისკურსი საკმაოდ ვიწრო ხედვას ინარჩუნებს, ვინაიდან, უპირველეს ყოვლისა, ფოკუსირებულია იურიდიულ უფლებებზე და სრულად არ ითვალისწინებს სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტს, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის უფლებებსა და განათლებაზე (საიედი და აჰმედი, 2011).

მიუხედავად ამისა, შორეულ რეგიონებში მცხოვრები ბავშვებისთვის განათლების უფლებით სარგებლობა ხშირად რთული ამოცანაა, განსაკუთრებით კი იქ, სადაც გამოცდილი ან კვალიფიციური მასწავლებლების დეფიციტია. არსებობს ვარაუდი, რომ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები, როგორცაა, ეგრეთ წოდებული „ტკვიანი სწავლების სისტემა“, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხარისხიანი სწავლების დეფიციტის შესამსუბუქებლად. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების დანერგვა შეიძლება დაეხმაროს ზოგიერთ ბავშვს, ეს ტექნო-სოლუციონიზმი ნაკლებად მოაგვარებს ადამიანის წინაშე არსებულ ძირეულ და გრძელვადიან პრობლემას – გამოცდილი და კვალიფიციური მასწავლებლების სიმცირეს. აღნიშული უზარმაზარი პრობლემა ნაკლებსავარაუდოა გადაიჭრას უფრო მეტად ადაპტური სასწავლო ან საკლასო რობოტების დახმარებით. სინამდვილეში, მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებს, გარკვეულ გარემოებებში, შეუძლიათ უზრუნველყონ განათლების ხელმისაწვდომობა, ძალზედ მცირეა მტკიცებულება იმისა, რომ ისინი უზრუნველყოფენ ხარისხიანი განათლების მიწოდებას ან აკმაყოფილებენ განათლების უფრო ფართო მიზნებს, რისი მიღების უფლებაც ბავშვებს აქვთ. ამასთან, ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენება გამოუცდელი მასწავლებლების უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად, ნაცვლად მათი ჩანაცვლებისა, შესაძლოა ჩაითვალოს ხელმისაწვდომი რესურსების საუკეთესო გამოყენებად. მიზეზები, თუ რატომ არსებობს მასწავლებლების ნაკლებობა და რა განაპირობებს მათი შენარჩუნების სირთულეს, ვერ გადაიჭრება რობოტების დამატებით ან ადაპტური სწავლებით.

91. ფონდი XPRIZE, www.xprize.org/prizes/global-learning.

► ღირსების დაცვის უფლება

წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ, რომ იქ, სადაც განსახორციელებელი ამოცანები საფრთხეს უქმნის ადამიანის ღირსებას, თუკი მათი აღსრულება მოხდება მანქანური მოწყობილობების მეშვეობით და არა ადამიანის მიერ, ამგვარი ამოცანები შესრულდეს ადამიანის მიერ... ასევე, უნდა იქნეს დაცული ადამიანის უფლება, უარი თქვას ხელოვნური ინტელექტის სისტემასთან ურთიერთქმედებაზე, თუკი ეს უარყოფითად იმოქმედებს ადამიანის ღირსებაზე (ლესლი და სხვ. 2021: 18).

ხელოვნური ინტელექტისა და განათლების კონტექსტში, ზემოთ აღნიშნული ადამიანის უფლება ნიშნავს, რომ სწავლება, შეფასება და სწავლის აღიარება, ასევე, მათთან დაკავშირებული ყველა პედაგოგიური თუ სხვა საგანმანათლებლო გადაწყვეტილება არ უნდა დაევალოს ხელოვნური ინტელექტის სისტემას, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც აშკარაა, რომ ამგვარი დელეგირებით მონაწილე ბავშვების ღირსება არ დადგება რისკის ქვეშ. ყველა ამგვარი დავალება უნდა შესრულდეს ადამიანი მასწავლებლის მიერ.

► ავტონომიურობის უფლება

ეს არის ადამიანის უფლება, არ დაექვემდებაროს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულია მხოლოდ ავტომატურად დამუშავებულ მონაცემებზე დაყრდნობით და რომელსაც შეუძლია ადამიანისთვის იურიდიული პრობლემების შექმნა ან მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა. ეს არის ხელოვნური ინტელექტის სისტემის მიერ მომზადებული და/ან მიღებული გადაწყვეტილების ეფექტიანად გასაჩივრებისა და ეჭვქვეშ დაყენების უფლება და, ასევე, ადამიანის მიერ ასეთი გადაწყვეტილების შემოწმების მოთხოვნის უფლება. ეს არის უფლება, ადამიანმა დამოუკიდებლად გადაწყვიტოს, სურს თუ არა მას, რომ გამოეთიშოს ხელოვნური ინტელექტის მიერ მართულ მანიპულაციებს, ინდივიდუალურ პროფილირებას და პროგნოზირებას (ლესლი და სხვ. 2021: 18).

ხელოვნური ინტელექტისა და განათლების კონტექსტში, ზემოთ აღნიშნული უფლებები საკმაოდ მნიშვნელოვანია. კერძოდ, ისინი ავსებენ ბავშვის უფლებას ღირსების დაცვის მიმართ, იმის ხაზგასმით, რომ არ შეიძლება ბავშვები დაექვემდებარონ მხოლოდ ხელოვნური ინტე-

ლექტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს – მაგალითად, სწავლის შეფასების, მანქანური პროგნოზების საფუძველზე შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო მეთოდების ან სხვა გადაწყვეტილებების შემთხვევაში, რამაც შეიძლება სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს.

რეალურად, ხელოვნური ინტელექტის სისტემების მიერ მიღებული და/ან წარმოებული გადაწყვეტილების ეფექტიანად გასაჩივრებისა და ეჭვქვეშ დაყენების უფლება, ასევე, ამგვარი გადაწყვეტილების ადამიანის მიერ გადახედვის მოთხოვნის უფლება, კანონმდებლობითაა დადგენილი. თუმცაღა, უფლება, ინდივიდმა დამოუკიდებლად გადაწყვიტოს, გამოეთიშოს თუ არა ხელოვნური ინტელექტის მიერ მართულ მანიპულაციებს, ინდივიდუალურ პროფილირებას და პროგნოზირებას, არის ის უფლება, რომლის სარგებლობის შესაძლებლობაც მშობლებს და შვილებს ჯერ კიდევ არ აქვთ სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ თანმიმდევრულ ან უნივერსალურ საგანმანათლებლო სისტემებში.

გარდა ამისა, „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ გამოყენება ბავშვების პროფილირებისთვის საგულდაგულოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ არ დაირღვეს „ფიზიკური, ფსიქოლოგიური და მორალური ხელშეუხებლობის უფლება, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული პროფილირების და ემოციების/პროგნოზული თვისებების დეტექციის ფონზე“ (ლესლი და სხვები, 2021: 18). თუკი მონაცემები და ანალიზი, გამოყენებული იმის დასადგენად, თუ რა „უნდა“ ისწავლონ ბავშვებმა შემდგომში, არ იქნება ზუსტი, ამან შეიძლება ბავშვის განვითარება და მისი მომავალი ცხოვრება საფრთხის ქვეშ დააყენოს.

ფაქტობრივად, დღეისთვის, ძალზედ მცირე კვლევა არსებობს იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია ისტორიულ საგანმანათლებლო მონაცემებს, რომლებიც არსებითად გენერირდა ბავშვების კოჰორტების მიერ წარსულში, შეცვალოს სასწავლო მასალებით შემოთავაზებული განვითარება მანქანური სწავლების მოდელების გამოყენების შემთხვევაში. ისტორიული მონაცემების გამოყენების პრობლემა დაფიქ-

სირდა, როდესაც სხვადასხვა ორგანომ (მათ შორის, „საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაცია“ და დიდი ბრიტანეთის მთავრობა) გამოიყენა მონაცემები და ალგორითმები იმ მოსწავლეების შესაფასებლად, რომლებმაც, კოვიდ-19 პანდემიის დროს გამოწვეული სკოლების დახურვის გამო, ვერ მოახერხეს ძალზედ მნიშვნელოვანი გამოცდების ჩაბარება. მიღებული შედეგების გარშემო დაფიქსირებული ამრთა სხვადასხვაობის გამო (ევერეთი, 2020; ევგენიუსი და სხვ. 2020), მოგვიანებით განხორციელდა აღნიშნული შედეგების კორექტირება.

► ბავშვის უფლება, უსმენდნენ მას

ყველა ბავშვს, რომელსაც შეუძლია საკუთარი აზრის ჩამოყალიბება, უნდა მიეცეს შესაძლებლობა, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი შეხედულება მის ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ხოლო ამგვარ აზრს უნდა მიენიჭოს სათანადო მნიშვნელობა, ბავშვის ასაკისა და სიმწიფის გათვალისწინებით. ბავშვებს, ასევე, უნდა მიეცეთ ხელშეუხებელი უფლება, მიიღონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები საკუთარ განათლებასთან დაკავშირებით და არ უნდა ხდებოდეს მათთან „კონსულტირება მხოლოდ უმნიშვნელო და წვრილმან საკითხებზე“ (რენარტი და სხვ. 2009: 5). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბავშვი უნდა იქნეს განხილული, როგორც „აქტიური აგენტი, ავტონომიური, დამოუკიდებელი პიროვნება, რომელსაც შეუძლია თავისი ცხოვრების ფორმირება საკუთარი უფლებების ფარგლებში“ (იქვე.: 4).

მაგალითად, ბავშვებს ან მათ მშობლებს უნდა ჰქონდეთ უფლება, უარი თქვან ხელოვნური ინტელექტის საკლასო ინსტრუმენტებში რაიმე სახით ჩართულობასთან დაკავშირებით ისე, რომ ამგვარმა უარმა უარყოფითად არ იმოქმედოს ბავშვის განათლებაზე. თუმცა, პრაქტიკაში, ბავშვებს იშვიათად ეძლევათ ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა: „ბავშვის ხორცშესხმული და სუბიექტური ხმა ჩანაცვლებულია სავარაუდო მიუკერძოებელი ობიექტურობით, რომელსაც ტექნოლოგიური მონაცემები უზრუნველყოფენ... მონაცემები ისეა განლაგებული, რომ ირღვევა ბავშვის უფლება, ისაუბროს საკუთარი ინტერესების დასაცავად“ (ლუპტონი და უილიამსონი, 2017). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ რომ ტექნოლოგიაა, რომელიც დე ფაქტო სარგებლობს უფლებებით, ბავშვის სახელით ან ბავშვის მაგივრად.

► დისკრიმინაციისგან დაცვის უფლება
(სამართლიანობა და მიკერძოება)

გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ (UNCRC) გარდა, სახელმწიფოების ვალდებულება, ებრძოლონ და აღმოფხვრან დისკრიმინაცია, ასევე, გაწერილია სხვა საერთაშორისო შეთანხმებებში: „საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, „კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ და „საერთაშორისო კონვენცია შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ“.

ზემოთ აღნიშნულ კონვენციებზე დაყრდნობით, ცხადია, რომ ყველგან, სადაც ხელოვნური ინტელექტია დანერგილი, სავალდებულოა, რომ მისი სტრუქტურა იყოს არადისკრიმინაციული, სამართლიანი და ინკლუზიური მთელი მისი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში (დაბროექტებიდან გამოყენებამდე) (ლესლი და სხვ. 2021: 18). განათლების სექტორში ეს ნიშნავს იმის უზრუნველყოფას, რომ ტექნოლოგიებით სარგებლობის შესაძლებლობა ჰქონდეს ყველა ბავშვს და არა მხოლოდ მათ, რომლებიც წარმოადგენენ მატერიალურად უზრუნველყოფილ სოციო-ეკონომიკურ ჯგუფებს, რითიც თავიდან იქნება აცილებული „მათეს ეფექტი“⁹². კერძოდ, ვინაიდან ხელოვნური ინტელექტის ბევრი სასწავლო ინსტრუმენტი ხშირად მხოლოდ ონლაინრეჟიმშია ხელმისაწვდომი, ეს ნიშნავს, რომ აუცილებელია ძლიერი ინტერნეტინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით, სოფლებში.

სამართლიანობას, ასევე, განსაზღვრავს ის მიკერძოებული მონაცემებიც, რომლებიც, როგორც ცნობილია, იწვევს ხელოვნური ინტელექტის მრავალი სისტემის კომპრომეტირებას. ხელოვნური ინტელექტის სისტემაში მიკერძოება შეიძლება დაფიქსირდეს სხვადასხვა მიზეზის

92. „მათეს ეფექტი“, ხშირად ინტერპრეტირებული, როგორც „მდიდრები უფრო მდიდრდებიან, ხოლო ღარიბები უფრო ღარიბდებიან“, სახელწოდება შერჩეული იქნა ბიბლიაში, მათეს სახარებაში აღწერილი „ტალანტების იგავის“ მიხედვით.

გამო; მაგალითად, სტერეოტიპული მიკერძობება, ისტორიული უთანასწორობა და დისკრიმინაცია, ჩაბუდებული მემკვიდრეობით მიღებულ მონაცემთა ნაკრებებში და დისკრიმინაციულ ალგორითმულ გადაწყვეტილებებში.

ასევე, ცნობილი ფაქტია, რომ ხელოვნური ინტელექტის დღევანდელი ინსტრუმენტები ხშირად ახდენენ გენდერული და სხვა სახის მიკერძობების დემონსტრირებას (ბორგესიუსი, 2018; ბულამინი და გებრუ, 2018). მაგალითად, დაფიქსირდა Google Translate-ის მიერ გენდერულად ნეიტრალური ტერმინების გენდერულად ნეიტრალური ენებიდან თარგმნისას მამრობითი სქესის აღმნიშვნელების გამოყენება, რაც არსებული გენდერული უთანასწორობის გამოვლინებაა (პრატე-სი და სხვ. 2019).

გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებს შეიძლება ახასიათებდეთ მიკერძობება შშმ პირების მიმართ. თუმცა, დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობების კონტექსტში შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითი: დადებითი, რადგან ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებმა შესაძლოა შესთავაზონ სარგებელი ბავშვებს, რომლებიც სხვაგვარად ვერ შეძლებდნენ ჩართულობის იმავე დონის მიღწევას; ხოლო უარყოფითი, რადგან პიროვნების კატეგორიზაცია შეიძლება აღმოჩნდეს პირველი ნაბიჯი ამ ადამიანის გარიყვისა და თანდაყოლილი ღირსების უფლების შელახვისაკენ (კარი, 2009).

ქცევის პროფილირება კომპანიებს შესაძლებლობას ანიჭებს, დაასკვნან ან დააიდენტიფიცირონ ინვალიდობა კვალიფიციური დიაგნოსტიკების გარეშე, რასაც, ზოგადად, ადამიანები სამედიცინო პროფესიონალებისაგან მოელოდნენ. ამან შესაძლოა ბავშვზე მოახდინოს გრძელვადიანი ეფექტი და წამოჭრას ფუნდამენტური, ეთიკური შეკითხვები იმის შესახებ, თუ რას გულისხმობს კერძო კომპანიების მიერ მოსწავლეთა ურთიერთქმედების სათანადო გამოყენება და რა სახის ინფორმაციას და ინტერვენციას სთავაზობენ ან არ სთავაზობენ ისინი სკოლის პერსონალს. სამედიცინო კვლევებში ჩართული ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან ეთიკური გარანტიებით და მკაფიო

ინფორმაციით იმ მოლოდინების შესახებ, თუ რა მოხდება როგორც ძირითადი, ასევე, შემთხვევითი შედეგების მიღების შემთხვევაში, მაშინ როდესაც, მსგავსი პარალელური პროცესები ხელოვნური ინტელექტის განათლებაში გამოყენებისას არ ხორციელდება.

► კონფიდენციალობისა და მონაცემთა დაცვის უფლება

რეალობა ისაა, რომ მონაცემთა დაცვის დღევანდელი კანონმდებლობა საკმარისად არ იცავს ბავშვის პერსონალურ ინფორმაციას – მხერა, რეაგირების სიჩქარე, სიარული ან ემოციები – მზარდი ინტერუბიული გამოყენებისგან, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი მოთხოვნა მითითებულია ბიომეტრიულ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობაში, როგორებიცაა კონვენცია №108⁹³ და ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია“ (GDPR). ნებისმიერ შემთხვევაში, კონფიდენციალობის უფლება არ უნდა იქნეს შერწყმული მონაცემთა დაცვის უფლებასთან. კონფიდენციალობა არის დამცავი უფლება, მაგალითად, დამაზიანებელი დისკრიმინაციისგან, ასევე, გამაძლიერებელი უფლება, ისეთ უფლებებთან ერთად, როგორებიცაა სიტყვის თავისუფლებისა და შეკრების უფლება. თუმცა, კონფიდენციალურობის უფლება ხშირად ირღვევა მონაცემთა დამუშავების პრაქტიკით, „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ სისტემების გამოყენების დროს.

მანქანური სწავლების ცენტრალურ ასპექტს მონაცემები წარმოადგენს. მანქანური სწავლება, ანუ ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთი სახეობა, რომელმაც მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ბოლო წლებში, ავტომატურად და მუდმივად ახორციელებს მომხმარებლის სისტემასთან ურთიერთქმედების შედეგად წარმოქმნილი უამრავი მონაცემის შეგროვებას, აგრეგაციას, ანალიზსა და დამუშავებას.

[მანქანურ სწავლებას] შეუძლია პროგნოზირება ადამიანის ქცევის, მენტალური მდგომარეობისა და იდენტობის შესახებ, ისეთი მონაცემების დამუშავების საფუძველზე, რომელიც ყოველთვის არ ითვლება პირად ან პერსონალურ ინფორმაციად, მაგალითად, სახის გამომეტყველება, გულისცემა, ადგილსამყოფელი და ა.შ. ერთი შეხედვით, საყოფაცხოვრებო ან საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემები.

93. www.coe.int/en/web/data-protection/convention108-and-protocol.

ამან შესაძლოა პიროვნებას გაუჩინოს კონფიდენციალობის ინვაზიურობის განცდა და, ასევე, იქონიოს ეგრეთ წოდებული „პანოპტიკური ეფექტი“, რაც გამოიწვევს ადამიანის მხრიდან საკუთარი ქცევის შეცვლას, თუკი გაუჩნდება ეჭვი, რომ ის დაკვირვების ან ანალიზის ობიექტია. (ლესლი და სხვ. 2021: 15)

საკლასო მეთვალყურეობას ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების საშუალებით, ხშირად ადარებენ მასწავლებლის მხერას; თუკი დასაშვებია, რომ მასწავლებელი აკვირდებოდეს მოსწავლეებს მონიტორინგისას, მაშ, რატომაა მიუღებელი, თუ იგივეს ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტი შეასრულებს? არსებობს ფუნდამენტური განსხვავება. ხელოვნური ინტელექტის მიდგომა უფრო გრძელვადიანია: მონაცემები იკრიბება კომერციული დეველოპერების მიერ, ინახება დაწესებულების გარეთ, ანალიზდება ავტომატურად, უზიარდება სხვა ადამიანებს, გამოიყენება ასობით ათასი ბავშვის საორიენტაციოდ და შედარებისთვის, ასევე, წარმოადგენს კომერციული დეველოპერების ბიზნესმოდელის უმთავრეს ნაწილს (მონაცემების გამოყენება შემოსავლის მიღების მიზნით). ადამიანური მიდგომა კი, მეორე მხრივ, არის პერსონალური, ადამიანური და ეფემერული. და ბოლოს, „ბავშვები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი განვითარების თავისუფალი და კონტროლისგან თავისუფალი სივრცით, ხოლო სრულწლოვან ასაკში გადასვლისას, წინ უნდა დახვდეთ საჯარო ან კერძო მონაცემისგან თავისუფალი „სუფთა ფურცელი“⁹⁴.

ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე ინსტრუმენტები სულ უფრო ხშირად გამოიყენება, მაგალითად, მოსწავლის ემოციური მდგომარეობის ამოსაცნობად. აღნიშნულის მიზანი შეიძლება იყოს პოზიტიური: მოსწავლის გადაყვანა ნეგატიური ემოციური მდგომარეობიდან პოზიტიურ ემოციურ მდგომარეობაში, რომელიც, როგორც წესი, ეფექტურია სწავლის, უკუკავშირის მიწოდების ან პრობლემის სირთულის დონის დასადგენად. თუმცა, მაშინ როდესაც, რეალური მასწავლებელი მუდმივად აფასებს და ზემოქმედებს მოსწავლის ემოციურ მდგო-

94. ევროკავშირის კომისიის „ხელოვნური ინტელექტის მაღალი დონის ექსპერტთა ჯგუფი“ (AI HLEG) (2019), „საიმედო ხელოვნური ინტელექტის პოლიტიკა და საინვესტიციო რეკომენდაციები“, პუნქტი 28.3, <https://digital-strategy.ec.europa.eu/en/library/policy-and-investment-recommendations-trustworthy-artificial-intelligence>.

მარეობაზე, ამ პროცესის ავტომატიზაცია არღვევს კონფიდენციალობის საზღვრებს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ამგვარი ანალიზი სრულდება კერძო სისტემების მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო ორგანიზაციებში გამოყენებული კომერციული ხელოვნური ინტელექტი შეიძლება აცხადებდეს, რომ ის უზრუნველყოფს მინიმალური რაოდენობის მონაცემების შეგროვებასა და შეგროვებული მონაცემების დაცვას, პერსონალური მონაცემების გამოყენება მაინც უამრავ კომპლექსურ პრობლემას წარმოშობს (ელიოტი და სხვ. 2018). პრობლემა ის, თუ როგორ ხდება მონაცემების შენახვა და გამოყენება (ბინსი, 2021). ეს ნიშნავს, რომ მონაცემები ღიაა ჰაკერებისთვის და შეიძლება მოხდეს მათი გაჟონვა, ასევე, მარტივად მოსალოდნელია ანონიმური მონაცემების დეანონიმიზაცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მონაცემებიდან იდენტიფიკატორების ამოღება, მაგალითად, ბავშვის სახელის, სულ უფრო იშვიათადაა საკმარისი.

► გამჭვირვალობისა და ინფორმირებულობის უფლება

მიუხედავად იმისა, რომ არ შედის ადამიანის უფლებებში, მონაცემებთან დაკავშირებული ზემოთ აღნიშნული უფლება წარმოადგენს მონაცემთა დაცვის კანონმდებლობების მნიშვნელოვან ნაწილს მთელ მსოფლიოში. სულ უფრო ხშირად გამოაშკარავდება ხოლმე, რომ მანქანური სწავლების სისტემები ხშირად გაუმჭვირვალეა, შესაძლოა იმიტომ, რომ ისინი კერძო საკუთრებაა, ან იმის გამო, რომ მათი მეთოდოლოგია არ არის ღია და შეღწევადი. მართალია, არსებობს განათლების სისტემაში ხელოვნური ინტელექტის სისტემების ბევრი მაგალითი, რომელიც შექმნილია აკადემიურ კვლევებზე დაყრდნობით, თუმცა „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ უმეტესობა შემუშავებულია კომერციული ორგანიზაციების მიერ, რომელთა ბიზნესგეგმები ითვალისწინებს ისეთი ინფორმაციის გასაიდუმლოებას, როგორცაა რეკომენდაციები და გადაწყვეტილების მიღება. ნებისმიერ შემთხვევაში, ის, თუ როგორ ახდენს ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებში ხშირად გამოყენებული მანქანური სწავლება შედეგების

გენერირებას, უცნობია თვით დეველოპერებისათვისაც კი (რუდინი, 2019). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მანქანური სწავლების სისტემები ხშირად არის „შავი ყუთი“, რომელიც არც გამჭვირვალეა და არც მკაფიოდ განმარტებადი, რადგან ისინი ტექნიკურად რთულია და ხშირად წარმოადგენს კერძო საკუთრებას. გარდა ამისა, ნებისმიერი „განმარტება უნდა იქნეს კონტექსტზე მორგებული და მიწოდებული სასარგებლო და გასაგები ფორმით, რათა საშუალება მიეცეს ადამიანს, ეფექტურად დაიცვას საკუთარი უფლებები“. (ლესლი და სხვ. 2021: 15).

განათლების სფეროში, როდესაც მანქანურ სწავლებაზე დაფუძნებული ხელოვნური ინტელექტის საგანმანათლებლო ინსტრუმენტი წყვეტს ბავშვის სწავლების ხაზს ან გასცემს რეკომენდაციებს, ან იძლევა უკუკავშირსა და განმარტებას, აუცილებელია, რომ მასწავლებელს ან მშობელს ჰქონდეს შესაძლებლობა, გაარკვიოს და გააცნობიეროს, თუ რატომ და რომელ პარამეტრებზე დაყრდნობით იქნა კონკრეტული გადაწყვეტილება მიღებული, ან შეეძლოს ამგვარი უკუკავშირის ან განმარტების გაუქმება. თუმცა, აღნიშნული მიმართულებით ჩატარებული ვრცელი აკადემიური კვლევების მიუხედავად (მაგ. კონატი და სხვ. 2018), ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ მარტივად ხელმისაწვდომი კომერციული ხელოვნური ინტელექტი საგანმანათლებლო ინსტრუმენტებში, რომელიც ჭეშმარიტად და ეფექტურად უზრუნველყოფს გამჭვირვალეობისა და ინფორმირებულობის უფლების დაცვას.

► თანხმობის არმიცემის ან თანხმობის გაუქმების უფლება

თანხმობასთან დაკავშირებული საკითხები, მაგალითად, არის თუ არა თანხმობა ჭეშმარიტი და როგორ უნდა მოხდეს თანხმობის გაუქმება მას შემდეგ, რაც პერსონალური მონაცემები შენახულ იქნა ან მოდიფიცირდა სატესტო მონაცემთა ნაკრებში, წარმოშობს სერიოზულ კითხვებს ხელოვნური ინტელექტის პროდუქტების შემუშავების დროს. როგორ დავრწმუნდეთ, რომ ბავშვმა გამოთქვა ჭეშმარიტი თანხმობა მონაცემების ხელოვნური ინტელექტის სისტემაში შეგროვებისა და მონეტიზაციის შესახებ და როგორ უნდა უზრუნველვყოთ მშობლის ინფორმირებული თანხმობა? როდესაც სკოლას სჭირდე-

ბა ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენება, თანხმობა გაცემული პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე სკოლის ან მონაცემთა დამმუშავებლის მიერ არ ითვლება ვალიდურად, რადგან თანხმობა ცალსახად და თავისუფლად უნდა იქნეს გაცემული ან გაუქმებული ზიანის მიყენების გარეშე⁹⁵. ზოგჯერ ჩნდება არგუმენტი, რომ მასწავლებლები უკვე ათწლეულებია იყენებენ საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს საკლასო ოთახში, რასაც არასდროს გამოუწვევია თანხმობასთან დაკავშირებული რაიმე პრობლემები. თუმცა, აქაც არსებობს თვისებრივი განსხვავება არახელოვნური ინტელექტით მართულ საგანმანათლებლო ტექნოლოგიებსა და ხელოვნური ინტელექტით მართულ ინსტრუმენტებს შორის – ეს ინსტრუმენტები აგროვებენ უზარმაზარი რაოდენობის მონაცემს, ათასობით წერტილში და უამრავი ბავშვისგან, რომელიც შემდეგ ინახება, იკრიბება, ანალიზდება და მონეტიზირდება საკლასო ოთახის მიღმა. დაბოლოს, უნდა ჰქონდეს თუ არა ბავშვს ან მშობელს უფლება, გააუქმოს თანხმობა ბავშვის მონაცემების გამოყენებასა და ხელახლა გამოყენებასთან დაკავშირებით, მონაცემების შეგროვების შემდეგ და, ასევე, მას შემდეგ, რაც მონაცემები უკვე აისახება კომპანიის მონაცემთა ბაზაში?

► ეკონომიკური ექსპლუატაციისგან დაცვის უფლება

მონაცემთა დაცვის უფლებები, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, შესაძლოა მოიცავდეს ან არ მოიცავდეს საკუთრებისა და ეკონომიკური ექსპლუატაციისგან დაცვის საკითხებს ისეთი მონაცემების მიმართ, რომლებიც გენერირდა კომერციული ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებთან ურთიერთქმედების შედეგად ბავშვის მიერ და ბავშვის შესახებ სავალდებულო განათლების მიღების პროცესში. თუკი ბავშვი (ან ზრდასრული) ქმნის ლექსს, სიმღერას ან მოთხრობას, ამ ქმნილების მფლობელი არის ბავშვი, ხოლო სიტუაცია იმ მონაცემებთან დაკავშირებით, რომელსაც ბავშვი ქმნის ხელოვნურ ინტელექტთან ურთიერთქმედებით, საკმაოდ ბუნდოვანია. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ პერსონალური მონაცე-

95. გაიდლაინები ბავშვის მონაცემთა დაცვის შესახებ საგანმანათლებლო გარემოში (2020), ევროპის საბჭოს კომისია №108 კონვენციის შესახებ, T-PD(2019)06BISrev5.

მების დაცვა სცილდება კონფიდენციალობას, როდესაც აუცილებელია ბავშვის ყველა უფლების დაცვა პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით: „ბავშვის უფლებები მტკიცედ უნდა იქნეს ინტეგრირებული ეთიკისა და მონაცემთა მეცნიერებების შესახებ მიმდინარე გლობალური დებატების დღის წესრიგში“ (ბერმანი და ოლბრაიტი, 2017: 4).

მიუხედავად ამისა, პერსონალური მონაცემების საკუთრების იდეა, ანუ მონაცემების ინტელექტუალურ საკუთრებად განხილვა, არის აშშ-ზე მორგებული მიდგომა, რომელზეც შეგვიძლია ვიკამათოთ ადამიანის უფლებათა ევროპული პერსპექტივიდან: „პერსონალური მონაცემების დაცვა ფუნდამენტური უფლებაა და ამიტომ პერსონალური მონაცემი არ შეიძლება ჩაითვალოს ფართო მოხმარების პროდუქტად“⁹⁶. მეორე პრობლემა კი ის არის, რომ საგანმანათლებლო მონაცემები ხშირად არა მხოლოდ ბავშვს ეხება, არამედ, ასევე, მშობელსა და მასწავლებელს, აცნობს რა მათ პროდუქტიულობის მაჩვენებელს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრაქტიკაში შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რა მონაცემები ეკუთვნის უშუალოდ ბავშვს.

თუმცა, როდესაც მონაცემები იკრიბება მესამე მხარის მიერ, როგორცაა ხელოვნური ინტელექტის კომერციული დეველოპერი, რომლისთვისაც მონაცემების გამოყენება მისი ხელოვნური ინტელექტის პროდუქტებისა და ბიზნესმოდელის ფუნდამენტური კომპონენტია, ჯერ კიდევ გაურკვეველია, თუ როგორ შეიძლება მოხდეს მონაცემთა დაცვის უფლებების მართვა ან კონტროლი ბავშვისა და მშობლების მხრიდან. მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა ნამდვილად იცავს ბავშვს კომერციული ექსპლუატაციისგან, ხოლო ამის კანონიერი საფუძველი თითქმის არასოდეს ფიქსირდება საგანმანათლებლო ან არაკონსენსუალურ კონტექსტში – თუმცა ამჟამად აღსრულება საზედამოებლო ორგანოების მიერ მონაცემების დაცვის მიმართულებით არასაკმარისად ხორციელდება. შესაბამისად, მიმდინარე მოსაზრების თანახმად, აუცილებელია, სახელმწიფოებმა აღიარონ, რომ ციფრული გარემო იძლევა ბავშვის კომერციული ექსპლუატაციის შესაძლებლობას სხვადასხვა ფორმით და, შესაბამისად, რეკომენდებულია გაეროს ბავშვის

96. ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2019 წლის 20 მაისის დირექტივა (EU) 2019/770 ციფრული კონტენტისა და ციფრული სერვისების მიწოდების კონტრაქტებთან დაკავშირებული გარკვეული ასპექტების შესახებ (2019), OJ L 136/1, პუნქტი 24.

უფლებათა კონვენციის 32-ე მუხლის ფარგლების გაფართოება, რათა მოხდეს ბავშვის დაცვა ამგვარი პრაქტიკებისგანაც (ვან დერ ჰოფი და სხვ. 2020). „გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ“ (გაერო, 2011) ადგენს სტანდარტებს და ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებს, რომლებიც, მოცემულ შემთხვევაში, ნამდვილად აქტუალურია.

ბოლო, და ალბათ ნაკლებად აშკარა, პრობლემა არის მონაცემთა აკუმულირება და, როგორც წესი, ამგვარ მონაცემებთან ასოცირებული ძალაუფლება, რომელიც მხოლოდ რამდენიმე მსხვილი კომპანიის ხელში ხვდება ხოლმე (კერძოდ, BigTech): „ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული კიდევ ერთი პრობლემა ძალაუფლების კონცენტრაციაა, რომელსაც ხელოვნური ინტელექტი ანიჭებს ყველაზე გავლენიან, კერძოდ და საჯარო სექტორის დეველოპერებსა და შემსრულებლებს“ (ლესლი და სხვ. 2021: 15). დღეისთვის ეს ნაკლებ პრობლემას წარმოადგენს „განათლებაში ხელოვნური ინტელექტისთვის“, რადგან ამგვარი კომპანიების უმეტესობა ჯერ კიდევ ძალიან მცირე მასშტაბისაა იმისთვის, რომ შეძლონ დომინირების მიღწევა. თუმცა, მაინც არსებობს ბაზარზე შევიწროებისა და მონოპოლიზაციის შემთხვევები, როდესაც ერთი კონკრეტული კომპანია იკავებს ბაზარს ეროვნულ ან რეგიონულ დონეზე. მაგალითად, როდესაც ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე ბავშვთა დაცვის პლატფორმების გამოყენება დაიწყეს მსოფლიო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ დევნილთა ბანაკებში, მედიაანგარიშებიდან მიღებულმა ინფორმაციამ და კომპანიის მარკეტინგმა აჩვენა, რომ აღნიშნული დაწესებულებები, ძირითადად, ერთ კონკრეტულ პროდუქტს ყიდულობდნენ.

ამავე დროს, BigTech-ი და მსხვილი საგანმანათლებლო გამოცემლობები (მაგ. Pearson) დამოუკიდებლად ახორციელებენ მილიონობით დოლარის ინვესტირებას ხელოვნური ინტელექტის საგანმანათლებლო ინსტრუმენტებში, როგორცაა Google Cloud-ის ხელოვნური ინტელექტზე მომუშავე სასწავლო პლატფორმა და Pearson-ის IBM Watson Tutor⁹⁷. ამასთან, ამჟამად განათლების სფეროში ხელოვნუ-

97. Pearson Education (2018), ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სწავლება: პერსონალიზებული სწავლების ახალი ფორმა, www.pearson.com/ped-blogs/blogs/2018/11/ai-based-tutoring-new-kind-personalized-learning.html.

რი ინტელექტის მწარმოებელი დამოუკიდებელი კომპანიების რიცხვი სწრაფად იზრდება. ეს ყველაფერი კი იმაზე მეტყველებს, რომ კომერციული კომპანიების მიერ ძალაუფლების კონცენტრაცია შესაძლოა მალე იქცეს დიდ პრობლემად, რაც, ბუნებრივია, აუცილებლად მოგვარებას საჭიროებს.

► მშობლის უფლებები

მშობლის როლი ბავშვის მიერ განათლების უფლების რეალიზებაში გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26(3) მუხლში:

მშობლებს აქვთ უპირატესი უფლება, აირჩიონ, თუ რა სახის განათლება უნდა მიეწოდოს მათ შვილებს.

გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციაში მკაფიოდაა მითითებული, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს უპირველესი საზრუნავი, რომელიც აკისრებს ზრუნვის მოვალეობას ყველა იმ ადამიანს, ვისაც კანონიერი პასუხისმგებლობა აქვს აღებული ბავშვის მიმართ (მშობელი, კანონიერი მეურვე, სკოლა და სახელმწიფო) და რომელიც უნდა განხორციელდეს ბავშვის განვითარების შესაძლებლობებთან შესაბამისობაში. თუმცა მშობლის უფლებები კომპლექსური საკითხია, თუკი გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მშობლის გადაწყვეტილებები შეიძლება ყოველთვის არ ემთხვეოდეს მისი შვილის შეხედულებებს ან საუკეთესო ინტერესებს, რაც ართულებს სკოლისთვის სათანადო რეაგირების შესაძლებლობას. მაგალითად, თუკი მშობელი ნებას რთავს შვილს, გამოიყენოს ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე ინსტრუმენტი, რომელიც აგროვებს და აზიარებს დიდი რაოდენობით პერსონალურ მონაცემს, ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ მშობელი რეალურად უარს აცხადებდეს ბავშვის კონფიდენციალობის

98. კალიფორნიის უნივერსიტეტის, ბერკლის ადამიანის უფლებათა ცენტრის კვლევითი ჯგუფი, (2019), „მემორანდუმი ხელოვნური ინტელექტისა და ბავშვის უფლებების შესახებ“, www.unicef.org/innovation/media/10501/file/Memorandum%20on%20Artificial%20Intelligence%20and%20Child%20Rights.pdf

უფლების დაცვაზე (კალიფორნიის უნივერსიტეტის, ბერკლის ადამიანის უფლებათა ცენტრის კვლევითი ჯგუფი, 2019)⁹⁹.

ნებისმიერ შემთხვევაში, საკითხი იმის შესახებ, უნდა სცეს თუ არა პატივი სახელმწიფომ და სკოლამ ბავშვის ან მშობლის უარს საგანმანათლებლო ტექნოლოგიების, როგორცაა ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე ინსტრუმენტების, გამოყენების შესახებ, თუკი ამგვარი უარი არ აზარალებს ბავშვის საგანმანათლებლო პროცესს, ჯერ კიდევ დასარეგულირებელია კანონმდებლობის დონეზე. კერძოდ, თუ მონაცემების მიღება და დამუშავება ხდება თანხმობის საფუძველზე, ეს თანხმობა უნდა იყოს გაცემული ნებაყოფლობით მშობლის/კანონიერი მეურვის, ბავშვის, და არა სკოლის მიერ.

3.1.5. საგანმანათლებლო დასვის მეთოდები და გამოყენება

განათლების სფეროში ნებისმიერი ტექნოლოგიის, მაგალითად, ხელოვნური ინტელექტის დანერგვას თან ახლავს ახალი აქტორების გამოჩენა, რომლებსაც საკუთარი მიზნები და ინტერესები ამოძრავებთ. შედეგად:

ბავშვები, როგორც წესი, არ მონაწილეობენ პოლიტიკაში და არ აქვთ წვდომა შესაბამის ინფორმაციაზე. ისინი ეყრდნობიან სახელმწიფო სტრუქტურებს, რომლებზეც ძალიან მცირე გავლენა აქვთ, რათა მოახერხონ საკუთარი უფლებების რეალიზება. შესაბამისად, მათ არ აქვთ შესაძლებლობა, ჩაერთონ ისეთი კანონებისა და პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომლებიც გავლენას ახდენენ ბავშვის უფლებებზე. (ბავშვის უფლებათა კომიტეტი 2013: 3)⁹⁹

ანალოგიურად:

როგორც უფლების მატარებლებს, ბავშვებს უნდა მიუწვდებოდეთ ხელი სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე, რათა ეფექტურად ისარგებლონ თავიანთი უფლებებით ან შეძლონ მოქმედება უფლების დარღვევის შემთხვევაში. ბავშვებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი დამოუკიდებელი და ეფექტური გასაჩივრების მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობა. (ევროპის საბჭო, 2010: 19)¹⁰⁰

99. ბავშვის უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი No16 (2013) ბავშვთა უფლებებზე ბიზნესსექტორის გავლენის მიმართ სახელმწიფოს ვალდებულების შესახებ, <https://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/CRC.C.GC.16.pdf>.

100. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ (2010), <https://rm.coe.int/16804b2cf3>.

მიუხედავად კონვენციის მე-13 მუხლში გათვალისწინებული ეფექტური სამართლებრივი დაცვის უფლებისა, ეს მექანიზმი ძირითადად უმოქმედოა, როდესაც საქმე ეხება განათლებაში ტექნოლოგიების გამოყენებას.

3.2 ხელოვნური ინტელექტი, განათლება და დემოკრატია

3.2.1. რას ნიშნავს დემოკრატია

დემოკრატია სიტყვასიტყვით განიშარტება, როგორც „ხალხის (ან ხალხისთვის განკუთვნილი) ძალაუფლება“ და ნიშნავს ისეთ სახელმწიფო მოდელს, სადაც საზოგადოების წევრები უფლებამოსილი არიან, აირჩიონ საკუთარი წარმომადგენლები კანონით დადგენილი პროცედურის მიხედვით (მაგალითად, არჩევნები)¹⁰¹. დემოკრატია განასახიერებს ინდივიდუალური ავტონომიის, ინკლუზიურობისა და თანასწორობის იდეალებს. ამავდროულად, დემოკრატია გულისხმობს, რომ საზოგადოების წევრებს შეუძლიათ, მიიღონ თავისუფალი და ინფორმირებული გადაწყვეტილებები (ბენ-იზრაელი და სხვ. 2020; იუნისეფი და იუნესკო, 2007)¹⁰², რაც პირდაპირ კავშირშია ადამიანის უფლებებსა და კანონის უზენაესობასთან.

3.2.2. დემოკრატია და ხელოვნური ინტელექტი

რაც შეეხება ციფრული ტექნოლოგიების როლს თანამედროვე საზოგადოებაში და მის პოტენციურად ნეგატიურ გეგავლენას დემოკრატიაზე, დაიმონდი აღნიშნავს, რომ „მას შემდეგ, რაც ადამიანის გაძლიერებისა და გათავისუფლების უზარმაზარ შესაძლებლობად შეირაცხა, სოციალური მედია – და მასთან ასოცირებული სხვადასხვა ციფრული ინსტრუმენტი, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს, მოიძიოს, გამოიყენოს, დააგროვოს და დაამუშაოს ინფორმაცია – სწრაფად იქცა დემოკრატიული სტაბილურობისა და ადამიანის თავისუფლების მთავარ საფრთხედ“ (2019: 20).

გემოთ აღნიშნული წუხილი გასცდა სოციალურ მედიასა და სხვადასხვა ინტერნეტ პლატფორმას და მოიცვა ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე ტექნო-

101. ევროპის საბჭო, დემოკრატია, www.coe.int/en/web/compass/democracy.

102. www.right-to-education.org/sites/right-to-education.org/files/resource-attachments/A%20-Human%20Rights-based%20Approach%20to%20Education%20for%20AI_0.pdf.

ლოგიები, ინტეგრირებული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. დღეისთვის დისკუსიების მთავარი თემა მათი პოტენციური უარყოფითი ზეგავლენა დემოკრატიაზე, როგორცაა კიბერშეტევა, ინფორმაციით მანიპულირება, პროპაგანდა ან კოორდინირებული არაავთენტური ქცევა (ბარეტი და სხვ. 2021; ჰილტონი, 2019; ნემიცი, 2018). ანალოგიურად, ლესლი და მისი კოლეგები (2021) აღნიშნავენ, რომ ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია, საფრთხე შეუქმნას ადამიანურ ღირებულებებს, როგორცაა გამოხატვის თავისუფლება, გაერთიანებისა და შეკრების უფლება. პოტენციური საფრთხეების სადემონსტრაციოდ, მათ მოჰყავთ, მაგალითად, სახის ნაკვთების ამოცნობის სისტემა, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს ან თუნდაც დააბრკოლოს ადამიანები საკუთარი დემოკრატიული უფლებებით სარგებლობისას. გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, ასევე, შესაძლებელია ინტერნეტში გავრცელებული ინფორმაციით მანიპულირება სამიზნე აუდიტორიის გათვალისწინებით (მაგალითად, რომელ ინფორმაციაზე მოხდეს აქცენტირება დემოგრაფიული ფაქტორებიდან გამომდინარე) ან არაზუსტი ინფორმაციის ფაბრიკაცია (მაგალითად, ვიდეორგოლი ან სტატია, რომელიც შეიცავს ფეიკამბავს) ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შეფერხების მიზნით და შედეგად.

ამავდროულად, კვლავ აშკარაა ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ტექნოლოგიების პოზიტიური წვლილი საჯარო და კერძო სექტორში (მაგ. კიბოს დიაგნოსტიკების¹⁰³ ან ექსტრემალური კლიმატური მოვლენების პროგნოზირების ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე ინსტრუმენტები¹⁰⁴), რაც ნიშნავს, რომ ხელოვნური ინტელექტი აუცილებლად გახდება უფრო ფართოდ გამოყენებადი და ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. შესაბამისად, ჩვენი საზოგადოებაც გარკვეულწილად შეიცვლება. თუმცა, როგორ მოხდება ეს, იქნება ეს გარდაუვალი თუ წინასწარ განსაზღვრული პროცესი, მინც დამოკიდებულია ადამიანის არჩევანზე. შესაბამისად, არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა, რომ საჯარო სექტორმა მიიღოს სტრატეგიული გადაწყვეტილებები და მოახდინოს ძალების კოორდინირება დემოკრატიისა და დემოკრატიული ღირებულებების დაცვის მიზნით, ამავე დროს, მოემზადოს და

103. გრინფილდი (2019), ჰარვარდის საუნივერსიტეტო ბლოგი, „ხელოვნური ინტელექტი მედიცინაში: გამოყენება, შედეგები და შეზღუდვები“, <https://sitn.hms.harvard.edu/flash/2019/artificial-intelligence-in-medicine-applications-implications-and-limitations/>.

104. BBC (2021), „ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია იწინასწარმეტყველოს იწვიმებს თუ არა ორ საათში“, www.bbc.com/news/technology-58748934.

განახორციელოს გადასვლა ახალ სოციალურ და ტექნოლოგიურ სივრცეში (აჭანი და ჩენი, 2020), ასევე, მოამზადოს მოქალაქეები ხელოვნურ ინტელექტთან ერთად პროდუქტიული თანაცხოვრებისათვის.

3.2.3. დემოკრატია და ხელოვნური ინტელექტი განათლებაში

რაც შეეხება განათლების სფეროს, ხელოვნური ინტელექტი, როგორც წესი, განიხილება განათლების დემოკრატიზაციის მხარდამჭერ პოტენციურ საშუალებად, პერსონალიზაციისა და ადაპტაციის უნარის დამსახურებით (კორბეტი და სხვ. 1997), მაგალითად, ინდივიდუალური სწავლება, ანუ მიდგომა, რომელიც არაერთხელ გამხდარა კამათის საგანი (მაგ. ჰოლმსი და სხვ. 2021) ან უმაღლესი ხარისხის კონტენტის მიწოდება განურჩევლად გეოგრაფიული ან ენობრივი შეზღუდვებისა (ჩუნტა და სხვ. 2021). ოც წელზე მეტი ხნის წინ, აიკენმა და ეპშტეინმა (2000) შემოგვთავაზეს ეთიკური ქცევის სახელმძღვანელო პრინციპები „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ შესამუშავებლად და დისკუსიის დასაწყებად ეთიკისა და „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ შესახებ, თუმცა დისკუსია შეფერხდა ორი ათწლეულის განმავლობაში, „კულტურულ ფასეულობებში განსხვავებულობის პათივისცემისა“ და „მრავალფეროვნების მიღების“ ხაზგასმის აუცილებლობის გამო. ანალოგიურად, ბლანჩარდმა (2015) შეისწავლა კულტურული განსხვავებულობის ზეგავლენა კვლევებზე, რომლებიც ეძღვნებოდა „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ საკითხებს და აღნიშნა, რომ საერთაშორისო წარმომადგენლობა, როგორც ავტორების (თუ ვინ ატარებს კვლევას), ასევე, მონაწილეების შერჩევის თვალსაზრისით, აუცილებელია, რათა მიღებული იქნეს ხარისხიანი და განზოგადებული შედეგები, ასევე, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა. ჯერ კიდევ საკამათოა, თუ რამდენად ფოკუსირებულია ეს დისკუსიები ფუნდამენტურ ჰუმანიტურ ღირებულებებზე, რომლებიც უკავშირდება დემოკრატიულ იდეალებს, თუმცა დღემდე ამ მიმართულებით ძალზედ მცირე კვლევაა ჩატარებული.

მიუხედავად ამისა, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება განათლებაში, განსაკუთრებით კი დემოკრატიასთან და დემოკრატიულ განათლებასთან დაკავშირებით, წარმოშობს მთელ რიგ კითხვებს, მათ შორის, განათლების სისტემის ორგანიზების, პედაგოგიური და სოციალური ასპექტების შესახებ. ეს კითხვებია:

- ▶ იმისათვის, რომ გაძლიერდეს დემოკრატია და დემოკრატიული ღირებულებები, „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ სისტემები უნდა შეესაბამებოდეს აღწერილობას „ყველასგან და ყველასთვის“, რათა განმტკიცდეს განათლების ურთიერთგაზიარებადობიდან გამომდინარე სამი პედაგოგიური უფლება: გაძლიერება, ჩართულობა და მონაწილეობა (ბერნშტეინი, 2000), განსაკუთრებული აქცენტირებით დემოკრატია და ადამიანს უფლებებს შორის არსებულ კავშირებზე. შესაბამისად, როგორ უნდა შევძლოთ განათლებაში ხელოვნური ინტელექტის ისეთი სისტემების შემუშავება და დანერგვა, რომლებიც მომდინარეობს საზოგადოებიდან, ორიენტირებულია საზოგადოებაზე და იმართება საზოგადოების მიერ (ჭეიშანსი და სხვ. 2021)? შესწევთ კი საგანმანათლებლო დაწესებულებებს (სკოლა, უნივერსიტეტი, და ა.შ.) უნარი, იმოქმედონ განათლების სფეროში ხელოვნური ინტელექტის ფართო გამოყენების მხარდასაჭერად – და რამდენად მიზანშეწონილია, რომ მათ ეს გააკეთონ? რა შედეგებს გამოიწვევს ეს ყველაფერი ისეთი მოსახლეობისათვის, რომლებიც, ტექნოლოგიური თუ ფინანსური უთანასწორობის გამო, ვერ ახერხებს „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ სისტემების შექმნას და დანერგვას, ან მარგინალიზებული თემებისთვის, რომლებიც, როგორც წესი, ნაკლებად არიან წარმოდგენილნი თანამედროვე კვლევებში? შესაძლებელია, რომ ამ უთანასწორობამ უფრო მეტად გააღრმავოს უფსკრული, ნაცვლად განათლების ტრანსფორმაციისა და ადაპტირებისა თითოეულ ადამიანზე?
- ▶ დემოკრატიული განათლება გულისხმობს ღია ხელმისაწვდომობასა და თანასწორობას, რაც ნიშნავს, რომ ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს წვდომა ერთი და იმავე ხარისხის სასწავლო მასალებზე, პირობებსა და შესაძლებლობებზე. უკვე მრავალი წელია, დემოკრატია და საჯარო განათლებას შორის კავშირი სათანადოდ არის დოკუმენტირებული, ხოლო პრაქტიკაში დემოკრატიული განათლების ყველაზე ნათელი მაგალითი არის საჯარო სკოლა (დიუი, 1903; ჭეიშანსი და სხვ. 2021; ზია, 1997; შტიცლანინი, 2017). მაშასადამე, ხელოვნურ ინტელექტზე ფოკუსირებისას, როგორ უნდა უზრუნველვყოთ, რომ ყველა მოსწავლეს, განურჩევლად მათი კულტურული წარმომავლობის, პიროვნული მახასიათებლებისა თუ ფინანსური მდგომარეობისა, ჰქონდეს წვდომა „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ სისტემებზე და ხელოვნური ინტელექტით მხარდაჭერილ სასწავლო გარემოზე, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ მოწინავე ხელოვნურ ინტელექტს, კონკრეტულად

კი, „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ ინიციატივებს, რომლებიც იმართება კომერციული საინფორმაციო-ტექნოლოგიური (IT) კორპორაციების მიერ (ნემიცი 2018)?

- ▶ „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ თანამედროვე სისტემები ძირითადად ეფუძნება შემეცნებისა და ცოდნის მოდელირებას, პერსონალიზებული სწავლებისა და კონტენტის მიწოდების მიზნით, ხოლო ხელოვნური ინტელექტით გაძლიერებული სასწავლო პროცესი კი გამიზნულია ცალკეული მოსწავლისთვის, და არა მოსწავლეთა ჯგუფებისთვის (ჭოლმსი და სხვ. 2021; ლიტონ გრეი და კუცირკოვა, 2018). „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ სისტემები, ძირითადად კი, ეგრეთწოდებული ტკვიანი სწავლების სისტემები, კრიტიკის ქვეშ აღმოჩნდა იმის გამო, რომ ისინი არ აძლიერებენ პარტნიორობას, სოლიდარობას, პატივისცემასა და სენსიტიურობას საზოგადოების სხვა წევრების საჭიროებების მიმართ, არამედ დახმარებას უწევენ ინდივიდუალურ მსმენელებს, პოტენციურად კოლექტივის ხარჯზე (კურციროკოვა და ლითლტონი, 2017). მეორე მხრივ, „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ კვლევები მოიცავს თანამშრომლობითი და ჯგუფური სწავლების კონტექსტს, რომელთა მიზანია ჯგუფების ფორმირების მხარდაჭერა (სტიუარტი და დმელო, 2018) ან ურთიერთშემოქმედებითი დიალოგების სტიმულირება (გრიფიტი და სხვ. 2021). მაშ, როგორ უნდა უზრუნველვყოთ შესაბამისი კვლევების გაფართოება, განვრცობა და ინფორმირება, რათა ხელი შევუწყოთ სოციალურად ინფორმირებულნი, და არა ინდივიდზე ფოკუსირებული, საგანმანათლებლო ხელოვნური ინტელექტის სისტემების შექმნას და დანერგვას? როგორ უნდა მოვახერხოთ ისეთი სისტემების მიწოდება, რომელთა მიზანი იქნება სხვადასხვა უნარების მქონე მოსწავლეების მხარდაჭერა სხვადასხვა სასწავლო კონტექსტში, მოსწავლეთა პოპულაციებს შორის უფსკრულის გაჩენის გარეშე? როგორ უნდა დავაბალანსოთ სარგებელი ცალკეული მოსწავლისთვის და ჯგუფისთვის მთლიანობაში, რაც შედეგად მოგვცემს საკლასო გარემოს, რომელიც გახდება დამკვიდრებული დემოკრატიული პრაქტიკის მქონე მიკროსაზოგადოების მაგალითი?
- ▶ მანქანური სწავლების მოდელის სპეციფიკური პრობლემა არის ის, რომ იგი სამყაროს წარმოაჩენს წარსულის ფუნქციად. შესაბამისად, თუკი მანქანური სწავლების მოდელის ტესტირებისთვის გამოყენებული მონაცემები მიკერძოებულია, იგივე განმეორდება შემდგომში შემუშავებული მოდელების შემთხვევაშიც (განათლებაში ალგორითმული

მიკერძობის მიმოხილვისთვის, იხილეთ ბეიკერი და ჰონი, 2021). ანალოგიურად, მოსწავლის დამხმარე ხელოვნური ინტელექტის სისტემას შეუძლია დასკვნების გაკეთება და რეაგირება მხოლოდ სისტემასთან წარსული მომხმარებლის ინტერაქციის შაბლონზე დაყრდნობით. ასეთ შემთხვევაში, მიკერძობა შეიძლება არცთუ ისე აშკარა იყოს, თუმცა მაინც გამოიწვიოს რეალური და მნიშვნელოვანი შედეგები (ტუომი, 2018). მაგალითად, „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ სისტემების ადრეული მომხმარებლები, „რეციპიენტები“ უფრო მეტად პრივილეგირებული ქვეყნების სასკოლო სისტემები იყვნენ, რადგან სწორედ ამგვარ ადგილებში ვითარდება ძირითადად ეს ინსტრუმენტები და ამ ქვეყნების სკოლებს აქვთ უფრო მეტად შესაძლებლობა, შეიძინონ უახლესი ტექნოლოგიები (ფინქვორთი, 2016; სკიფი, 2021). ამიტომ გარდაუვალია ის, რომ მანქანური სწავლების მოდელი უფრო მეტად წარმოადგენს პრივილეგირებულ მოსწავლეებს, ხოლო მონაცემები ნაკლებპრივილეგირებული მოსწავლეების შესახებ კვლავ ბუნდოვანი დარჩება. მაშ, როგორ შევქმნათ ისეთი მონაცემთა ნაკრები და მოდელი, რომელიც იქნება დაბალანსებული, მოსწავლეთა პოპულაციების წარმომადგენელი და არ გააძლიერებს მიკერძობეულობას? ან როგორ უნდა შევიმუშავოთ მეთოდოლოგიური მიდგომები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, გამოვასწოროთ მიკერძობა, და თუ შესაძლებელია, განვავითაროთ სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფს სამართლიანობის დაცვას?

3.2.4. კრიტიკული რეფლექსია

მოცემულ თემასთან დაკავშირებულ კვლევებში აქცენტირებული და განხილულია რისკები, რომლებსაც ხელოვნური ინტელექტი წარმოშობს დემოკრატიისა და დემოკრატიული პროცედურების განხორციელების, დამკვიდრებისა და შენარჩუნების პროცესში, განსაკუთრებით კი ინფორმაციის ან პრაქტიკის მანიპულირებისა და გაყალბების კუთხით, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის დემოკრატიულ უფლებებს (მაგ. სათვალთვალო სისტემები) და ასე შემდეგ (ჰილტონი, 2019; ნემიცი, 2018). როდესაც საქმე ეხება ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას განათლებაში – მისი გამოყენების სპეციფიკური სფერო – ჩნდება დამატებითი პრობლემები, რომლებიც მაინცდამაინც არ ვრცელდება ან გაითვალისწინება საყოველთაო მომხმარებლის ხელოვნური ინტელექტის სისტემების შემთხვევაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უკვე დაახლოებით 100 წელია, რაც სწავლის „პერსონალიზაცია“ საგანმანათლებლო ტექნოლოგიების მამოძრავებელი იდეას წარმოადგენს (უოთერსი, 2021) და ყველაზე ფართოდ გავრცელებულ არგუმენტს განათლებაში ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციაზე საუბრისას. თუმცა ეს წარმოშობს ბევრ შეკითხვას, მაგალითად, რამდენად შესაძლებელი ან მიზანშეწონილია პერსონალიზაცია – იმის გათვალისწინებით, რომ მანქანური სწავლება მუშაობს მონაცემების დაჯგუფებით? ხომ არ არის ეს რეალურად უფრო მეტად ჰომოგენიზაცია, ვიდრე პერსონალიზაცია? შესაბამისად, რა პოტენციური გამოწვევები შეიძლება მოჰყვეს პერსონალიზაციას და შესაძლებელია, რომ ამ ყველაფერმა აშკარა ან იმპლიციტური უარყოფითი გავლენა იქონიოს დემოკრატიაზე? მაგალითად, ვინ იქნება უფლებამოსილი ან ვის შეეძლება იქონიოს წვდომა „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ სისტემებზე და, შესაბამისად, მათ პოტენციურ სარგებელზე და შესაძლოა, რომ პერსონალიზებულმა სწავლებამ გამოიწვიოს არათანაბარი სწავლის შედეგები, ანუ ზოგიერთმა მოსწავლემ მოიპოვოს სხვა მოსწავლესთან შედარებით უპირატესობა? ასევე, „განათლებაში ხელოვნური ინტელექტი“ გავლენას ახდენს სწავლის სოციალურ ასპექტებზე. სკოლა და საკლასო გარემო არამხოლოდ საგნობრივ ცოდნას და კონტენტს აწვდის, არამედ უზრუნველყოფს ინდივიდის განათლებას დემოკრატიული ღირებულებებისა და ჰუმანიტური პრინციპების შესახებ; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკლასო გარემო არის მოსამზადებელი ეტაპი იმისთვის, რომ ინდივიდი გახდეს დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქე. თუმცა, ამჟამად გაურკვეველია, თუ როგორ ასრულებენ ამ როლს „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ სისტემები.

ამასთანავე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ინფორმირებული საჯარო დისკუსიის დაწყება და სტიმულირება „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ სისტემების დაპროექტების, განვითარებისა და დანერგვის შესახებ, განურჩევლად ამ სისტემების მიზნებისა (იქნება ეს მოსწავლის თუ მასწავლებლის მხარდამჭერი ხელოვნური ინტელექტი). ამ დისკუსიებს, დემოკრატიის დეფინიციის თანახმად, უპირატესად საჯარო სექტორი უნდა უძღვებოდეს (მიუხედავად იმისა, რომ „განათლებაში ხელოვნური ინტელექტი“ რეალურად კომერციული სექტორის პრეროგატივაა). დისკუსიები უნდა იყოს ღია ყველა დაინტერესებული მხარისთვის – მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები, ადმინისტრაცია, მკვლევარები, ტექნოლოგიების პროვაიდერები – რათა გარანტირებულ იქნეს სხვადასხვა აზრის მოსმენის შესაძლებლობა და კო-

მუნიკაცია საერთო თემების შესახებ. დისკუსიები არ უნდა ფოკუსირდეს ტექნიკურ ასპექტებზე, არამედ მკაფიოდ შეეხოს ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების პოტენციურ ზეგავლენას დემოკრატიაზე. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატია და დემოკრატიული ღირებულებები ფართოდ აღიარებული და ცალსახა თემაა, კვლევებმა ხაზგასმით აჩვენა, რომ საჯარო სექტორის დაინტერესებულ მხარეთა შორისაც კი, აღნიშნული ტერმინები ან არაერთგვაროვნად აღიქმება, ან გაუგებარია, თუ რატომ და როგორ შეიძლება ტექნოლოგიებმა მათზე ზეგავლენა მოახდინოს. (ბარეტი და სხვ. 2021). ხელოვნური ინტელექტისა და დემოკრატიის წინაშე არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით, კვლევები აუცილებელია, თუმცა, ამავე დროს, საჭიროა იმ საკითხების დამუშავებაც, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება „ხელოვნურ ინტელექტს განათლებაში“ და დემოკრატიული იდეალების დაცვისა და გაძლიერების გზებს ციფრულ ეპოქაში.

3.3. ხელოვნური ინტელექტი, განათლება და კანონის უზენაესობა

3.3.1. რას ნიშნავს კანონის უზენაესობა

კანონის უზენაესობა არის ინსტიტუციური საფუძველი იმისა, რომ გარანტირებულად იქნეს დაცული როგორც დემოკრატიული მონაწილეობა, ისე ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულება, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეებისთვის სათანადო სასამართალწარმოებას, სამართლიან და თანაბარ მოპყრობას კანონის შესაბამისად, არის სამართლებრივი დაცვის მექანიზმი დარღვეული უფლებებისა ან თავისუფლებების აღსადგენად. (ლესლი და სხვ. 2021: 13)

შეერთებულ შტატებში, ხელოვნური ინტელექტისა და კანონის უზენაესობის სწავლების შესახებ ჩატარებულ მასშტაბურ კვლევაში, ჯონსონი და შენი აღნიშნავენ, რომ „ისეთი განსხვავებული სექტორები, როგორებიცაა საპატენტო სამართალი, სისხლის სამართალი, უფლებადარღვევები, ადამიანის უფლებები, კლიმატის ცვლილება, ჯანდაცვა, ფინანსები და ტრანსპორტირება, დგანან გარდაუვალი და მკვეთრი ცვლილებების წინაშე, ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური სწავლების ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების ფონზე“ (2021: 25). საინტერესოა, რომ ჩამონათვალში განათლების სფერო არ არის მითითებული. თუმცა მაინც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არსებობს ხელოვნური ინტელექტის ეთიკური რეგულირების აუცილებლობა.

ამ ნაწილში, კანონის უზენაესობა „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ მიმართ ილუსტრირებულია შესაბამისი კანონმდებლობებითა და საკანონმდებლო ჩარჩოების მეშვეობით, მიმდინარე ძალისხმევებით ხელოვნური ინტელექტის სისტემების რეგულირების შესახებ, განათლებისა და სამართალმცოდნეობის დარგში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ ჩატარებული კვლევებით, ასევე, ინტერპრეტაციებისა და კანონდარღვევების მაგალითებით. წინამდებარე ნაწილი სრულდება იმ ხარვეზების აღწერით, რომლებიც დაფიქსირდა როგორც ხელოვნური ინტელექტის, განათლებისა და კანონის უზენაესობის შესახებ კვლევებში, ასევე, განათლების სექტორში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისა და ზეგავლენის მარეგულირებელ და სამართლებრივ ასპექტებში.

3.3.2. საერთაშორისო საპროტექციო მექანიზმები

ლესლისა და სხვათა (2021) დასკვნების თანახმად, ამჟამად არ არსებობს საერთაშორისო კანონმდებლობა, რომელიც კონკრეტულად ხელოვნური ინტელექტზეა ორიენტირებული. თუმცა, მაინც გვხვდება გარკვეული მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტრუმენტები, რომლებშიც ადამიანის ფუნდამენტური უფლებებია ასახული (იხ. პუნქტი 3.1), მათ შორის:

- ▶ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია
- ▶ ევროპის სოციალური ქარტია (ESC)
- ▶ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობა (რომელშიც იგულისხმება „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო შეთანხმება“ და „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი“ და ამ უკანასკნელის ორი დამატებითი ოქმი)
- ▶ ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტია (CFR)
- ▶ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია (UNCRC)
- ▶ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია

კერძოდ, დისკრიმინაციის აკრძალვისა და კონფიდენციალურობის დაცვის უფლება ვრცელდება ზოგადად ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე და, შესაბამისად, ასევე, აქტუალურია „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ გამოყენების დროსაც. ასევე, მნიშვნელოვანია კონკრეტული ჯგუფების (მაგ. უმცირესობები) დამცველი სამართლებრივი ინსტრუმენტები.

ლესლი და სხვები (2021) განასხვავებენ რბილ კანონებს (არასავალდებულო, ნებაყოფლობითი ვალდებულება) და მკაცრ კანონებს (კანონით სავალდებულო) და ასკვნიან, რომ მართალია არსებული სამართლებრივი მექანიზმები გარკვეულწილად იცავს ცალკეულ უფლებებს, თუმცა ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული რისკები ჯერ კიდევ არ არის საკმარისად დარეგულირებული. შესაბამისად, არსებობს საჭიროება, რომ მომავალში გატარდეს არამხოლოდ სამართლებრივი და მარეგულირებელი ღონისძიებები, არამედ განხორციელდეს საზოგადოებრივი ზედამხედველობა ხელოვნური ინტელექტის სისტემების დაპროექტებაზე, განვითარებასა და გამოყენებაზე. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოწვევაა, თუკი გავითვალისწინებთ ხელოვნური ინტელექტის სისტემების ბუნდოვანებასა და არამკაფიოობას, ასევე, ხელოვნური ინტელექტის ინოვაციებისა და ადამიანის უფლებების დაცვის უპირატესობის დაბალანსების საჭიროებას. ეს საკითხები, რა თქმა უნდა, უკავშირდება ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას განათლებაში და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ამ პროცესში ბავშვები და მოზარდები მონაწილეობენ. გარდა ამისა, აღიარებულია, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემები (ასევე, მონაცემთა ნაკადი) ხშირად კვეთენ სხვადასხვა იურისდიქციას, რაც მათ სირთულეს განაპირობებს. აღნიშნული, ასევე, მკაფიოდ თვალშისაცემია „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ გამოყენების შემთხვევებშიც, რა დროსაც ხშირად წამოიჭრება პრობლემები მონაცემთა დაცვის უფლებების, მოსწავლეთა პროფილირების და საგანმანათლებლო სისტემებზე კულტურული ზემოქმედების კუთხით.

მონაცემთა დაცვის საწყისებისა და მნიშვნელობის ისტორიული მიმოხილვისას, კორფი და ჯორჯესი (2020) აღწერენ, თუ როგორ დამტკიცდა ევროკავშირის მიერ „მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია“ (GDPR), ახალი ტექნოლოგიებისა და ისეთი სერვისების გამოწვევების მოსაგვარებლად, როგორცაა პროფილირება, ალგორითმული გადაწყვეტილებები და ხელოვნური ინტელექტი, ვინაიდან ევროკომისიამ დაინახა, რომ „ძლიერი და მაღალი დონის მონაცემების დაცვა აუცილებელი პირობაა ონლაინგარემოში ნდობის მოსაპოვებლად“. ეროვნულ საგანმანათლებლო კანონმდებლობასთან და მონაცემთა დაცვის დებულებებთან ერთად, ზემოთ აღნიშნული რეგულაცია უზრუნველყოფს მონაცემთა ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ დაცვას მოსწავლეებისთვის მთელ მსოფლიოში. ისინი კი, ვინც ქმნიან ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციებს წევრი ქვეყნების სკოლებისთვის, ვალდებულნი არიან, დაიცვან მონაცემთა დაცვის ინტეგრირებისა და სტანდარტიზაციის მოთხოვნები, რო-

გორც ეს გათვალისწინებულია 108-ე კონვენციის მე-10 მუხლში ან, დამატებით, მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის 25-ე მუხლში. ანალოგიურად, ჰილდებრანდტის (2015) „ჭკვიანი ტექნოლოგიებისა და კანონ(ებ)ის დასასრულის“ მიმოხილვისას, კერი აღნიშნავს, „ჰილდებრანდტი გვაფრთხილებს, რომ ერთადერთი რამ, რასაც შეუძლია შეგვინარჩუნოს კანონის უზენაესობა იმ ფორმით, როგორსაც ჩვენ მას ვიცნობთ, არის „სამართლებრივი დაცვის ინტეგრირება“¹⁰⁵ (2017:92) იმ ტექნოლოგიებში, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანის ქცევაზე. სამართლებრივი დაცვის ინტეგრირების „მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ სამართლებრივი დაცვა არ იქნეს გადაფარული ტექნოლოგიური გარემოს შესაძლებლობებით, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს, ვისარგებლებთ თუ არა ჩვენი ფუნდამენტური უფლებებით“ (ჰილდებრანდტი 2019:16). „მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციაში“, ზემოთ აღნიშნული გარანტირებულია სამართლებრივი ვალდებულებით, რომელიც მოითხოვს „მონაცემთა დაცვაზე ზემოქმედების შეფასების“ (DPIA) დოკუმენტის მომზადებას¹⁰⁶.

სკოლების მფლობელებს (მაგ. მუნიციპალიტეტები) მოეთხოვებათ, ჩაატარონ მონაცემთა დაცვაზე ზემოქმედების შეფასება, რომლის თანახმად განისაზღვრება და შეფასდება სკოლებში ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები, იმ შემთხვევაში, თუკი ეს ხელსაწყოები ასრულებენ მონაცემების დამუშავების გარკვეულ ოპერაციებს. ამრიგად, მონაცემთა დაცვაზე ზემოქმედების შეფასება სავალდებულოა „სწავლა ხელოვნური ინტელექტი“ სისტემებისთვის, ასევე, მოსწავლისა და მასწავლებლის მხარდაჭერი ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციებისთვის. აღნიშნული საკმაოდ რთული და შრომატევადი ამოცანაა, ვინაიდან საჭიროებს მაღალი დონის კომპეტენციების ფლობას. ამ პროცესის გასამარტივებლად, მაგალითად, ნორვეგიის „მონაცემთა დაცვის სააგენტომ“ შეიმუშავა ოპერაციების ჩამონათვალი¹⁰⁷, რომელთა განხორციელებისათვის ყოველთვის სავალდებულოა მონაცემთა დაცვაზე ზემოქმედების შეფასების მომზადება, მათ შორის,

105. მ. ჰილდებრანტი (2019), „10. „აგებულებით კანონიერი“ თუ „სამართლებრივი დაცვის ინტეგრირება“? კანონი კომპიუტერული მეცნიერებისათვის, (იხ. ნაწილი 10.3), <https://lawforcomputerscientists.pubpub.org/pub/gfzd6k0g/release/12>.

106. ბ. ვოლფორდი (GDPR EU), მონაცემთა დაცვაზე ზემოქმედების შეფასება (DPIA), <https://gdpr.eu/data-protection-impact-assessment-template>.

107. Datatilsynet (მონაცემთა დაცვის საზედამხებველო ორგანო ნორვეგიაში), მონაცემების დამუშავების ოპერაციები, რომლებიც ექვემდებარება მონაცემთა დაცვაზე ზემოქმედების შეფასების მომზადებას, www.datatilsynet.no/globalassets/global/dokumenter-pdf/er-skjema-ol/regelverk/veiledere/dpia-veiledere/dpialist280119.pdf.

არის პროცესები, რომლებმაც უნდა დააკმაყოფილოს ორი ან მეტი კრიტერიუმი (ზოგიერთ შემთხვევაში, მხოლოდ ერთი). ეს პროცესებია: შეფასება ან ქულები, ავტომატური გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს იურიდიული ან მსგავსი მნიშვნელოვანი შედეგი, სისტემატური მონიტორინგი, სენსიტიური მონაცემები ან უაღრესად პერსონალური ხასიათის მონაცემები, მონაცემთა ფართომასშტაბიანი დამუშავება, მონაცემების შეწყვილება ან კომბინირება, მოწყვლად სუბიექტებთან დაკავშირებული მონაცემები. უშუალოდ განათლებისთვის მნიშვნელოვანი პროცესებია: პერსონალური მონაცემების დამუშავება აკადემიური მოსწრების შეფასების მიზნით, შეგუებისა და კეთილდღეობის შეფასება სკოლებში ან საბავშვო ბაღებში (განათლების ყველა საფეხურზე), სათვალთვალო კამერით დაკვირვება სკოლებსა ან საბავშვო ბაღებში, პერსონალური სენსიტიური ან ძალზედ პერსონალური მონაცემების დიდი მასშტაბით დამუშავება ალგორითმების დასატესტად, პერსონალური მონაცემების დამუშავება აკადემიური მოსწრების, უნარ-ჩვევების, ქულების, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და განვითარების სისტემატური მონიტორინგის მიზნით.

სალოვნური ინტელექტის რეგულირება

2020 წლის დეკემბერში, ევროპის საბჭოს „ხელოვნური ინტელექტის დროებითი კომიტეტის“ (CAHAI) სამდივნომ გამოაქვეყნა ანგარიში „ხელოვნური ინტელექტის სისტემების რეგულირებისკენ“¹⁰⁸, რომელშიც განხილულია ხელოვნური ინტელექტის ზემოქმედება ადამიანის უფლებებზე, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობაზე, შემოთავაზებულია სახელმძღვანელო პრინციპები ხელოვნური ინტელექტის ეთიკის შესახებ, მოცემულია საერთაშორისო სავალდებულო ინსტრუმენტების ანალიზი, ასევე, ხელოვნური ინტელექტის სისტემების რეგულირების სამი ეროვნული პერსპექტივის მიმოხილვა. მარეგულირებელი მიზნებისთვის ხელოვნური ინტელექტის გამართებისას, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „სირთულეს წარმოადგენს ის, რომ სამართლებრივი დეფინიციები განსხვავდება წმინდა მეცნიერული დეფინიციებისგან, მაშინ როდესაც მიზანშეწონილია, რომ ისინი აკმაყოფი-

108. ევროპის საბჭო (2020), CAHAI, „ხელოვნური ინტელექტის სისტემების რეგულირებისკენ: გლობალური ხედვა ხელოვნური ინტელექტის სისტემების საკანონმდებლო ბაზის შემუშავების შესახებ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სტანდარტებზე დაყრდნობით“.

www.coe.int/en/web/artificial-intelligence/-/toward-regulation-of-ai-systems-

ლებდნენ მთელ რიგ მოთხოვნებს (როგორცაა ინკლუზიურობა, სიზუსტე, კომპლექსურობა, პრაქტიკულობა, მუდმივობა), რომელთაგან ზოგიერთი კანონით არის სავალდებულო, ზოგი კი სათანადო მარეგულირებელ პრაქტიკად ითვლება“ (ბენ-იზრაელი და სხვ. 2020: 23). ხელოვნური ინტელექტთან და კანონის უზენაესობასთან დაკავშირებით, დოკუმენტში მოცემულია ექვსი დებულება (იქვე: 31-32) იმის შესახებ, თუ როგორი ორლესური მახვილია ხელოვნური ინტელექტი, თავისი პოტენციალით და საფრთხეებით, რაშიც იგულისხმება ეფექტიანობა, ლეგიტიმურობა და ნდობა, ავტორიტეტი სასამართლოში და მის ფარგლებს გარეთ, მომსახურების პირობები კანონის უზენაესობის საპირისპიროდ, სანდო ხელოვნური ინტელექტის აღსრულება და კანონმდებლობისთვის საფრთხის შექმნა კანონმდებლობის გაძლიერების ნაცვლად. მართალია, არცერთი ზემოთ აღნიშნული არ ეხება კონკრეტულად განათლებას, თუმცა ყველა მათგანი მაინც უკავშირდება ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას განათლების სფეროს მრავალ მიმართულებაში (მაგ. ადმინისტრირება, სწავლება, მონიტორინგი, შეფასება), კერძოდ კი, მოსწავლის-მასწავლებლის-დაწესებულების-ხელშემწყობი ხელოვნური ინტელექტის სისტემები. კონკრეტულად, განათლებაში უნდა იქნას კონცეპტუალიზირებული სტრატეგიები „ინფორმირებულობის“, „შესაბამისობის, ანგარიშვალდებულებისა და ზიანის გამოსწორების ღონისძიებების“, „დემოკრატიის, დემოკრატიული სტრუქტურებისა და კანონის უზენაესობის დაცვის“ შესახებ.

ევროკომისია, ციფრულ სტრატეგიაზე მუშაობის ფარგლებში, ცდილობს, ხელი შეუწყოს ხელოვნური ინტელექტის¹⁰⁹ მიმართ ევროპულ მიდგომას, რაც გულისხმობს ხელოვნური ინტელექტის ხარისხისა და სანდოობის უზრუნველყოფას. აღნიშნულში შედის მარეგულირებელი ჩარჩო და კომუნიკე, სადაც ნათქვამია, რომ „ევროპამ უნდა იმოქმედოს ერთიანი ძალებით, რათა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა და მოაგვაროს ხელოვნური ინტელექტის გამოწვევები სამომავლო მოთხოვნების გათვალისწინებით“¹¹⁰. 2021 წლის აპრილში ევროკავშირმა წარმოადგინა „რეგულაცია ხელოვნუ-

109. ევროკომისია (2021), კომუნიკე ხელოვნური ინტელექტის მიმართ ევროპული მიდგომის ხელშეწყობის შესახებ, <https://digital-strategy.ec.europa.eu/en/library/communication-fostering-european-approach-artificial-intelligence>.

110. ევროკომისია (2021), ხელოვნური ინტელექტის 2021 წლის კოორდინირებული გეგმის მიმოხილვა, <https://digital-strategy.ec.europa.eu/en/library/coordinated-plan-artificial-intelligence-2021-review>.

რი ინტელექტის შესახებ“ ან „ხელოვნური ინტელექტის კანონი“¹¹¹, რომელიც გახდა პირველი კანონი ხელოვნური ინტელექტის შესახებ, დამტკიცებული ძირითადი მაკონტროლებლის მიერ ყველა ქვეყნისთვის. ხელოვნური ინტელექტის კანონის „მიზანია, შემუშავდეს შეთანხმებული წესები ისეთი ხელოვნური ინტელექტის სისტემების განვითარების, ბაზარზე განთავსებისა და გამოყენებისათვის, რომლებიც განსხვავებული იქნება მახასიათებლებისა და რისკების მიხედვით [მაღალი, საშუალო, მინიმალური]“ (ვიალი და ბორგესიუსი, 2021: 97). ეს არის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ხელს უწყობს ხელოვნური ინტელექტის დანერგვას, ასევე, მასთან ასოცირებული პოტენციური რისკების დარეგულირებას (შვემერი და სხვ. 2021). კანონპროექტი¹¹² აღიარებს, რომ „ხელოვნური ინტელექტის გამოყენებამ, მისი სპეციფიკური მახასიათებლების (მაგ. გაუმჭვირვალობა, კომპლექსურობა, მონაცემებზე დამოკიდებულება, ავტონომიური ქცევა) გამო, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიაში („ქარტია“) დაცულ ფუნდამენტურ უფლებებზე“. განათლება და გადამზადება დასახელდა კრიტიკულ სექტორებად, სადაც აუცილებელია ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებული არასწორი ან მიკერძოებული გადაწყვეტილებების რისკების მინიმიზირება, განსაკუთრებით კი საგანმანათლებლო და პროფესიული გადამზადების დაწესებულებებში პირთა შეფასების ან მიღების პროცესში, ან მაღალი რისკის შემცველ შემთხვევებში, ასევე, მოწყვლადი ბავშვების დასაცავად. რაც შეეხება ევროპის საბჭოს ღირებულებებს, შვემერი, თომადა და პასინი, აცხადებენ:

აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებული კანონპროექტი არ მიჰყვება უფლებებზე დამყარებულ მიდგომას, რომელშიც, მაგალითად, გათვალისწინებული იქნებოდა ახალი უფლებების დანერგვა იმ პირთათვის, რომლებზეც ვრცელდება ხელოვნური ინტელექტის სისტემების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. ნაცვლად ამისა, კანონპროექტი ყურადღებას ამახვილებს ხელოვნური ინტელექტის სისტემების პროვაიდერებისა და მომხმარებლების რეგულირებაზე, მსგავსად პროდუქტის რეგულირებისა. (2021: 6)

3.3.3. კვლევაი „მანათლავაი ხელოვნური ინტელექტისა“ ღა კანონის უზენაესოიის შესახებ

ხელოვნური ინტელექტი და კანონის უზენაესობა გარკვეული პერიოდი კვლევითი სფეროს ინტერესს წარმოადგენს, ხოლო მისი განვითარება ბოლო ათ-

111. ლ. სიოლი (2021), კანონის შემავამებელი პრეზენტაცია, www.ceps.eu/wp-content/uploads/2021/04/AI-Presentation-CEPS-Webinar-L-Sioli-23.4.21.pdf.
112. ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს რეგულაცია, ხელოვნური ინტელექტის შესახებ შეთანხმებული წესების შემუშავება (ხელოვნური ინტელექტის კანონი) და ევროკავშირის გარკვეული საკანონმდებლო აქტების შესწორება, COM(2021) 206 საბოლოო, (2021 წლის პროექტი), (პუნქტი 3.5), <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:52021PC0206&from=EN>.

წლეულის განმავლობაში ხელოვნური ინტელექტის კვლევების ზოგად ტენდენციებს მიჰყვება (ლესლი და სხვ. 2021; სურდენი, 2019). სურდენი (2019) აჯამებს ხელოვნური ინტელექტისა და კანონის უზენაესობის ისტორიას¹¹³, რომელიც დაიწყო ადრეული აკადემიური ძალისხმევებით, ცოდნასა და წესებზე დაფუძნებულ სამართლებრივ სისტემებზე ფოკუსირებით 1970-იან წლებში, გაიარა სამართლებრივი არგუმენტირების ფორმალური მოდელებისა და კანონმდებლობების კომპიუტერული მოდელების შემუშავების პერიოდი 1980-იან და 1990-იან წლებში და, საბოლოოდ, აითვისა მანქანური სწავლების მიდგომები 2000 წელს, როდესაც გამოჩნდა იურიდიული ტექნოლოგიების მწარმოებელი მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელთა მიზანსაც კანონმდებლობის ეფექტურობა და ქმედითუნარიანობა წარმოადგენდა.

სურდენი (2019), ასევე, განასხვავებს ხელოვნურ ინტელექტს პრეცედენტულ სამართალში (მაგ. სამართალწარმოების ან პროგნოზირებადი კოდირება, ტექნოლოგიებით მხარდაჭერილი სამართალი), ხელოვნურ ინტელექტს სამართლის ადმინისტრირებაში (მაგ. სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღება ან საპოლიციო სფერო) და ხელოვნურ ინტელექტსა და კანონით „მოსარგებლებს“ (მაგ. ადამიანები, რომლებიც იყენებენ იურიდიული თვითდახმარების სისტემებს ან იურიდიულ ჩატბოტებს). გარდა ამისა, იგი ასახელებს მიმდინარე პრობლემებს, მათ შორის, მიკერძოებას ალგორითმული გადაწყვეტილებების მიღებისას, ხელოვნური ინტელექტის სისტემების ინტერპრეტირებულობას, ხელოვნური ინტელექტის სისტემის მიერ გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობას, რიდს ავტომატიზირებული გადაწყვეტილების მიმართ, ასევე, ხელოვნურ ინტელექტთან და მის გამოყენებასთან დაკავშირებულ სირთულეებს. კანონმდებლობაში ხელოვნური ინტელექტის ზოგადი აღწერისას, თითოეული ეს თანამედროვე პრობლემა ძალზედ მნიშვნელოვანია „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ გამოყენების გასააზრებლად და შესაფასებლად, განსაკუთრებით კი მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის კათვალისწინებით.

სამი კვლევა, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ კავშირშია განათლებასა და იურიდიულ სფეროში გამოყენებად ხელოვნურ ინტელექტთან, არის შემდეგი: კვლევა უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა მიღების პროცესში ალგორითმული გადაწყვეტილების გამოყენების შესახებ, კვლევა მონაცემების

113. იხილეთ ბენჩ-კაპონი და სხვ. (2012), 55 ნაშრომის მიმოხილვა, რომელიც წარმოდგენილი იქნა ხელოვნური ინტელექტისა და სამართლის საერთაშორისო კონფერენციის პირველი 25 წლის განმავლობაში.

და ალგორითმების წიგნიერების შესახებ, კვლევა იურიდიული განათლების მხარდასაჭერად. ზოგადად, ვინაიდან ალგორითმული სისტემები სულ უფრო მზარდად გამოიყენება გადაწყვეტილებების მიღებისას, „აკადემიური და საჯარო დისკურსი ძალიან ხშირად ფოკუსირდება ობიექტურობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე“ (მარცინკოვსკი და სხვ. 2020:122), სატესტო მონაცემებში დაფიქსირებული მიკერძოებების გამო. დაინტერესდნენ რა უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა მიღებისას ალგორითმული გადაწყვეტილების გამოყენების (არა)სამართლიანობის საკითხით, მარცინკოვსკი და მისმა კოლეგებმა (2020) გამოაქვეყნეს 304 სტუდენტი გერმანიის ერთ-ერთ უნივერსიტეტში, რათა შეესწავლათ მათი დამოკიდებულება და აღქმა ალგორითმის და ადამიანის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ. სამართლიანობის კრიტერიუმთან დაკავშირებით, სტუდენტებმა განაცხადეს, რომ ალგორითმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები პროცედურულ და გადანაწილების საკითხებში უფრო მაღალხარისხიანია, ვიდრე ადამიანის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები; ალგორითმული გადაწყვეტილებები მიჩნეული იქნა უფრო ობიექტურად და სამართლიანად. აღნიშნული შედეგი საინტერესოა, თუკი შევადარებთ სამედიცინო სფეროს, სადაც ადამიანის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება, განსხვავებით ხელოვნური ინტელექტისა¹¹⁴.

მონაცემებისა და ხელოვნური ინტელექტის წიგნიერების, ასევე, ზოგადად, მოქალაქეებისა და კონკრეტული პროფესიების კომპეტენციების ჩარჩოზე მუშაობის პროცესი ხშირად მოიცავს ხელოვნური ინტელექტის როგორც ტექნიკურ, ასევე, ადამიანურ განზომილებებს, როგორცაა მონაცემთა კონფიდენციალობა, მონაცემთა დაცვა და ადამიანის უფლებები. აღნიშნულ წიგნიერებას, ასევე, აქვს იურიდიული განზომილება და მიმართულია სოციალური პასუხისმგებლობისა და დემოკრატიის დაცვისკენ, მონაცემებისა და ალგორითმების გამოყენების პროცესში (ბენ-იზრაელი და სხვ. 2020). ამის ერთ-ერთი მაგალითია ათენასი და მისი კოლეგები, რომლებიც მონაცემების მართვას აუცილებელ წიგნიერებად მიიჩნევენ:

მონაცემების მართვა შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც ადგილობრივად ხელმისაწვდომი პოლიტიკა და რეგულაციები, რომლებიც ვრცელდება მონაცემების განთავსებასა და გამოყენებაზე, მონაცემების ხელმისაწვდომობის, გამოყენებადობის, განუყოფლობისა და უსაფრთხოების სტანდარტების, ნორმებისა და კანონმდებლობის გათვალისწინებით (2020: 8).

114. იხილეთ: www.nature.com/articles/s41562-021-01146-0.

ზემოთ აღნიშნულის კიდევ ერთი მაგალითია „ევროპული ციფრული კომპეტენციების განახლებული ჩარჩო მოქალაქეებისთვის“ – DigComp 2.2 (ვუორიკარი და სხვ. 2022), რომლის თანახმად, მოქალაქეები უნდა აცნობიერებდნენ, რომ, ალგორითმების გამოყენებისას, ხორციელდება მათი და სხვა მონაცემების დამუშავება, ასევე, უნდა იცოდნენ საკუთარი უფლება კონფიდენციალობის დაცვის მიმართ და ის, რომ კანონები და რეგულაციები ნამდვილად სრულდება.

ამ კვლევის კიდევ ერთი მიმართულება უკავშირდება ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას იურიდიული განათლების მიმართულებაში. არგუმენტირების განმავითარებელი სავარჯიშო (ლინჩი და სხვ. 2007) ან წერილობითი ანალიტიკური მასალის მომზადება სამოქალაქო სამართალში აკადემიური ხარისხის დაცვისას (ნათი და სხვ. 2018) წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტით სწავლის დამატებით მაგალითებს.

3.3.4. კანონის უზენაესობის გამოყენება „განათლებელი ხელოვნური ინტელექტის“ მიერ

ამგვარი მაგალითების უმეტესობა მოიცავს დაწესებულების მხარდამჭერ ხელოვნურ ინტელექტს (ქულების, მსმენელთა მიღების, დასწრების, სწავლის საფასურის ადმინისტრირება), ორი მათგანი ფოკუსირებულია მოსწავლეთა მხარდამჭერ ხელოვნურ ინტელექტსა და სკოლაში ადაპტური ალგორითმების გამოყენებაზე, ხოლო ერთი კი ხაზს უსვამს ახალი განათლების კანონის შემუშავების აუცილებლობას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ხელოვნური ინტელექტი განათლებაში.

ხელოვნური ინტელექტი და ქალების პროგრესი

2020 წელს დაფიქსირდა ორი შემთხვევა, რამაც ეჭვქვეშ დააყენა სკოლის მოსწავლეების გამოცდებთან დაკავშირებული ალგორითმების გამოყენების საკითხი. პირველი მოხდა დიდ ბრიტანეთში, სადაც ალგორითმი გამოყენებულ იქნა A დონის შედეგების შესაფასებლად, ხოლო მეორე კი ნორვეგიაში, „საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციის“ მიერ საბოლოო ქულების გამოთვლისას გამოყენებული ალგორითმის გამო.

ციფრული უფლებების დამცველმა ორგანიზაცია Foxglove-მა განაცხადა, რომ აპირებდა სამართლებრივი დავის დაწყებას ინგლისში მოქმედი კვალიფი-

კაციების, გამოცდებისა და ტესტირებების საკითხების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანო Ofqual-ის¹¹⁵ წინააღმდეგ, ვინაიდან მოსწავლეების A დონის შედეგების დასადგენად გამოყენებულმა ალგორითმმა პოტენციურად დაარღვია გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის კანონი. განცხადებაში ნათქვამია, რომ (i) ალგორითმი არ აფასებს მოსწავლეებს, არამედ აფასებს სკოლას, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებს ღარიბი სკოლების მოსწავლეებს, ხოლო უპირატესობას ანიჭებს მცირე ზომის მდიდარ სკოლებს; და (ii) გადაწყვეტილების ავტომატიზაცია იმის ფონზე, რომ შესაძლოა მოხდეს ზემოქმედება ცალკეულ მოსწავლეზე, პოტენციურად არღვევს „მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის“ 22-ე მუხლს და გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის კანონს.

2020 წლის მაისში, Datatilsynet-მა, ნორვეგიის მონაცემთა დაცვის სამსახურმა, მოსთხოვა¹¹⁶ „საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციას“ (IBO) გაეკეთებინა განმარტება მათ მიერ გამოყენებული შეფასების ალგორითმის შესახებ, რომლის დახმარებითაც ხდებოდა ცალკეული მოსწავლეების საბოლოო ქულების დაანგარიშება საკურსო ნაშრომების, მასწავლებლების მიერ განსაზღვრული სავარაუდო ქულების, ასევე, სკოლის ცალკეული ისტორიული პროგნოზირებადი მონაცემების¹¹⁷ საფუძველზე. აღნიშნული მეთოდის გამოყენების საჭიროება მას შემდეგ გადაწყდა, რაც კოვიდ-19-ის პანდემიის გამო, ფინალური გამოცდების ფიზიკურ გარემოში ჩატარება შეუძლებელი გახდა. თუმცა, გაჩნდა შეშფოთება, რომ საერთაშორისო ბაკალავრიატის მოსწავლეების ინდივიდუალური ქულების გამოთვლა ეფუძნებოდა გადაწყვეტილების მიღების ავტომატიზებულ პროცესს¹¹⁸, რა დროსაც ადამიანს აღარ ეძლეოდა შეფასების შესაძლებლობა. ამან წარმოშვა ეჭვები პერსონალური

115. Dark (2020), დიდი ბრიტანეთი: სასამართლო დავა ელოდება ალგორითმს, რომელიც გამოყენებული იქნა მოზარდების გამოცდების შესაფასებლად, www.statewatch.org/news/2020/august/uk-legal-action-threatened-over-algorithm-used-to-grade-teenagers-exams/; და BBC (2020), A-დონის გამოცდები და GCSE: როგორ მუშაობდა გამოცდების ალგორითმი? www.bbc.com/news/explainers-53807730.

116. Datatilsynet (ნორვეგიის მონაცემთა დაცვის სახელმძღვანელო ორგანო), „საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციას დაევალი ინფორმაციის მიწოდება კვალიფიკაციის მინიჭებისა და შეფასების სისტემის შესახებ“, www.datatilsynet.no/contentassets/ea9284bbfcb64f819b2171228bc912a4/ibo---information-by-24-july-2020.pdf.

117. საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაცია (2020), *დამატებითი ინფორმაცია 2020 წლის მაისის შედეგების შესახებ*, www.ibo.org/news/news-about-the-ib/awarding-may-2020-results-further-information.

118. www.efta-studies.org/post/a-dystopian-story-about-covid-19-artificial-intelligence-setting-grades-and-the-gdpr.

მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, „მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის“ 58(1)(ა) მუხლის და კერძოდ 5-ე მუხლის (1)(ა),(გ) (დ) და 22-ე მუხლის (2) და (3) პუნქტებიდან გამომდინარე. Datatilsynet-ის მიზანს წარმოადგენდა საერთაშორისო ბაკალავრიატისთვის საბოლოო ქულების შესწორების ვალდებულების დაკისრება¹¹⁹. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა პროცესებმა მართლაც გამოიწვია ცვლილებები და ზოგიერთმა მოსწავლემ უმაღლესი შეფასება მიიღო, მაინც ჩაითვალა, რომ (i) Datatilsynet-ი არ ფლობდა მონაცემების გასაჩივრებისთვის საკმარის კომპეტენციას, და რომ (ii) „საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაცია“, რომლის სათაო ოფისი დიდ ბრიტანეთში მდებარეობს და ვინაიდან იმ დროს გაერთიანებული სამეფო ვერ კიდევ ევროკავშირის ნაწილი იყო, Datatilsynet-მა ვერ გადაწყვიტა, წასულიყო თუ არა საერთაშორისო ბაკალავრიატის წინააღმდეგ. შესაბამისად, საქმე დაიხურა (იხ. ასევე სინდექა, 2020).

ორივე შემთხვევაში, გამოცდის შედეგები საბოლოოდ დაანგარიშდა ისტორიული მონაცემების საფუძველზე – არა ცალკეული მოსწავლის მანამდე მიღებულ ქულებზე, არამედ სკოლაში წინა წლებში დაფიქსირებულ ქულებზე დაყრდნობით. ამ ყველაფერმა უსამართლო სარგებელი მოუტანა წარსულში წარმატებული სკოლების მოსწავლეებს, რომლებიც, როგორც წესი, მაღალი სოციო-ეკონომიკური რაიონების მოსწავლეები იყვნენ და დააზარალა დაბალი დონის სკოლების მოსწავლეები, რომლებიც, როგორც წესი, არახელსაყრელ რაიონებში ცხოვრობდნენ. ამ მიდგომამ, რომელიც ძალიან შორს არის „აღგორითმული პერსონალიზაციის“ დომინანტური რიტორიკისაგან, სერიოზულად დააზიანა ცალკეული მოსწავლეები და უარყოფითად იმოქმედა მათ შესაძლებლობაზე, მიეღოთ უმაღლესი განათლება ან შესულიყვნენ დასაქმების ბაზარზე.

ბიოფიზიკური მონაცემების გამოყენება სკოლაში

Datinspektionen-მა, შვედეთის „კონფიდენციალური მონაცემების დაცვის სამსახურმა“ (DPA), ჯარიმა დააკისრა ერთ-ერთ შვედურ სკოლას, 20 000 ევროს ოდენობით, სკოლაში სახის ამოსაცნობი აპლიკაციის პილოტირებისათვის, იმის მიუხედავად, რომ სკოლას ჰქონდა მოსწავლეებისგან აღებული

119. Datatilsynet (2020) ნორვეგიის DPA აპირებს დაავალოს IB ქულების შესწორება, www.datatilsynet.no/en/news/2020/the-norwegian-dpa-intens-to-order-rectification-of-ib-grades.

თანხმობა. აპლიკაციის გამოყენების მიზანს მოსწავლეთა დასწრების მონიტორინგი წარმოადგენდა¹²⁰. როგორც აღმოჩნდა, სკოლა უკანონოდ იყენებდა სენსიტიურ ბიომეტრიულ მონაცემებს, არ განახორციელა შესაბამისი ზემოქმედების შეფასება და არ გაიარა კონსულტაცია „კონფიდენციალური მონაცემების დაცვის სამსახურთან“. მონაცემთა სუბიექტს (მოსწავლე) და მაკონტროლებელს (სკოლა) შორის აშკარა დისბალანსის გათვალისწინებით, Datainspektionen-მა დაადგინა, რომ თანხმობა ვერ გამოდგებოდა მართებულ კანონიერ დასაბუთებად.

ანალოგიურად, პოლონეთის მონაცემთა დაცვის სამსახურმა დააჯარიმა პოლონეთის ერთ-ერთი დაწყებითი სკოლა 5 000 ევროს ოდენობით, ლეგიტიმური საფუძვლის გარეშე ბავშვების ბიომეტრიული მონაცემების უკანონო გამოყენებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ სკოლამ აღნიშნული მონაცემები შეაგროვა და დაამუშავა მშობლებისა და კანონიერი მეურვეების წერილობითი თანხმობის საფუძველზე¹²¹. სკოლის ბუფეტის შესასვლელში დამონტაჟებულ, ბიომეტრიული მონაცემების აღმრიცხველს სკოლა იყენებდა ბავშვების იდენტიფიცირებისათვის და კვების საფასურის გადახდის დასადასტურებლად. პოლონეთის მონაცემთა დაცვის სამსახურის დასკვნით, ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება იყო არაპროპორციული, არასაჭირო საშუალება იმის დასადგენად, თუ რამდენად ჰქონდათ ბავშვებს საუზმის მიღების უფლება. ასევე, აღინიშნა, რომ სკოლას სავსებით თავისუფლად შეეძლო სხვა საშუალებების გამოყენება იდენტიფიცირების მიზნებისათვის.

ორივე შემთხვევა გამოკვეთს დისბალანსს ინდივიდის სენსიტიური პერსონალური მონაცემების გამოყენებასა და სკოლების მიზნებს შორის (იხ. აგრეთვე კინგი და პერსონი, 2022).

სალოვნური ინტელექტის სისხაის მონაცემების გამოყენება სკოლაში

ნორვეგიის მონაცემთა დაცვის სააგენტო Datatilsynet-ში შეიქმნა ხელოვნური ინტელექტის მაკონტროლებელი იზოლირებული გარემო¹²². ერთ-ერთი

120. მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭო (2019), *სახის ამოცნობას სკოლაში მოჰყვა შედეგების GDPR-ისგან ჯარიმის დაკისრება*, https://edpb.europa.eu/news/national-news/2019/facial-recognition-school-renders-swedens-first-gdpr-fine_sv.

121. Urząd Ochrony Danych Osobowych (პოლონეთის მონაცემთა დაცვის საზედამხებ დეველორგანო) (2020), *სკოლა დაჯარიმდა მოსწავლეების თითის ანაბეჭდების დამუშავებისათვის*, <https://uodo.gov.pl/en/553/1102>

122. www.datatilsynet.no/en/regulations-and-tools/sandbox-for-artificial-intelligence.

პროექტის ფარგლებში შესწავლილი იქნა სასწავლო ანალიტიკისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ადაპტურ აპლიკაციაში, რომლის შეტანაც იგეგმებოდა ნორვეგიის სკოლებში. თუმცა დაფიქსირდა შეკითხვები იმ მოსწავლეთა კონფიდენციალობასა და მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით, რომელთა პერსონალური მონაცემები მუშავდებოდა ალგორითმების მეშვეობით (Sluttrapport – AVT-პროექტი). პრობლემა მოგვარდა „მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციისა“ და განათლების შესახებ ეროვნული კანონის საფუძველზე. დასკვნით ანგარიშში¹²³ მოცემულია დისკუსია კანონმდებლობით გარანტირებული ადაპტური განათლების მიწოდების მიზნით მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და ალგორითმების შემუშავების სამართლებრივი საფუძვლების შესახებ. აღნიშნული კვლევის მიგნებები ღირებული ინფორმაციაა ნორვეგიის განათლების კანონის სამომავლო განახლებისთვის.

3.3.5. კრიტიკული ჩაუღიჟისა

ხელოვნურ ინტელექტთან, განათლებასთან და კანონმდებლობასთან დაკავშირებით გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები. პირველი, ლესლი და მისი კოლეგები, კვლევაში „სამართლებრივი ინსტრუმენტების ლანდშაფტი“ (2021), ასახელებენ რამდენიმე სპეციფიკურ სამართლებრივ ინსტრუმენტს კიბერდანაშაულის, ბიომედიცინისა და ავიაციის სფეროსთვის – თუმცა არ გვთავაზობენ რაიმე კონკრეტულ სამართლებრივ ინსტრუმენტს განათლების სექტორისთვის. ეს სწორედ ის სისუსტე და საფრთხეა, რომელიც გადაუდებელ მოგვარებას საჭიროებს.

მეორე, არსებობს ხელოვნურ ინტელექტსა და განათლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესახებ კვლევების სიმწირე, მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტის – განათლების ინოვაციური გადაწყვეტის – პოპულარიზაციასთან ერთად, იზრდება კვლევების საჭიროება (სამართლებრივი პერსპექტივიდან) (i) მონაცემთა დაცვისა და ადამიანის უფლებების, (ii) ალგორითმებისა და მიკერძოების სამართლებრივი შედეგების, (iii) ალგორითმების გამჭვირვალობასა და მკაფიოობასთან დაკავშირებული უფლებების და (iv) დაინტერესებულ მხარეთა წიგნიერების (კანონმდებლობისა და

123. www.datatilsynet.no/regelverk-og-verktoy/sandkasse-for-kunstig-intelligens/ferdige-prosjekter-og-rapporter/avt-sluttrapport.

რეგულაციების შემქმნელები, სკოლის მფლობელები, მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და ტექნოლოგიების მიმწოდებლები) შესახებ.

დაბოლოს, საზოგადოებაში ხელოვნური ინტელექტის გავრცელებისა და კომპლექსურობის, ასევე, იურიდიული შედეგების გათვალისწინებით, აუცილებელია მოხდეს იურისტების გადამზადება ზოგადად ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით (ჯონსონი და შენი, 2021), ასევე, ამგვარი გადამზადება აუცილებლად უნდა მოიცავდეს კონკრეტულად „განათლებაში ხელოვნური ინტელექტთან“ დაკავშირებულ იურიდიულ საკითხებს. მაგალითად, ჯონსონი და შენი (2021: 28) ფართოდ მიმოიხილავენ ხელოვნური ინტელექტისა და სამართლის სწავლებას აშშ-ში¹²⁴ და გვიჩვენებენ, რომ „იურიდიულმა სკოლებმა, რომლებიც არ სთავაზობენ სტუდენტებს სამართლისა და ხელოვნური ინტელექტის კურსს, სასურველია, დაამატონ ამგვარი კურსი... ხოლო იმ სკოლებს, რომლებსაც უკვე აქვთ შესავალი კურსი, ვურჩევთ, უფრო ფართოდ შეიტანონ ხელოვნური ინტელექტის საკითხები სასწავლო გეგმებში სპეციალური კურსის სახით ან გადახედონ უკვე არსებულ კურსებს“. აშშ-ში შემოთავაზებული კურსების კატეგორიები (მაგ. ხელოვნური ინტელექტი და ჯანდაცვა, ხელოვნური ინტელექტი და ომი/ეროვნული უსაფრთხოება, ხელოვნური ინტელექტი და კიბერუსაფრთხოება) მოწმობს იმას, რომ ამჟამად კურსები ხელოვნური ინტელექტისა და განათლების შესახებ არ არსებობს. იურიდიული განათლების გაძლიერების აუცილებლობას ადვოკატირებს „შანხაის ინიციატივა ხელოვნური ინტელექტისა და სამომავლო კანონის უზენაესობის“ შესახებ¹²⁵, რომელიც მხარს უჭერს „ხელოვნური ინტელექტისა და სხვა სპეციალობების სასწავლო მასალების გაფართოებას სამართლის დისციპლინაზე დაყრდნობით, რა დროსაც ყურადღება უნდა მიექცეს ხელოვნური ინტელექტისა და იურიდიული განათლების გამჭოლ ინტეგრაციას და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჯგუფის შექმნას, რომლებსაც ექნებათ იურიდიული წიგნიერება და, ასევე, ცოდნა ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების მიმართულებით“ (ჩუი, 2020: 197).

124. 197 იურიდიული სკოლიდან მხოლოდ 26%-ი სთავაზობს სტუდენტებს სამართლისა და ხელოვნური ინტელექტის მინიმუმ ერთ კურსს, ხოლო მათგან მხოლოდ 50%-ს აქვს რამდენიმე ასეთი კურსი.

125. ხელოვნური ინტელექტისა და კანონის უზენაესობის შესახებ მაღალი დონის სემინარის შედეგი, რომელსაც უმასპინძლა შანხაის სამართალმცოდნეობის საზოგადოებამ 2018 წლის ხელოვნური ინტელექტის მსოფლიო კონფერენციაზე.

ღია კითხვა

რეკომენდაციაში CM/Rec(2019)10 „ციფრული მოქალაქეობის განათლების განვითარებისა და ხელშეწყობის შესახებ“¹²⁶, რომელიც დამტკიცდა მინისტრთა კომიტეტის მიერ 2019 წლის 21 ნოემბერს, აღნიშნულია, რომ სასურველია, წევრი სახელმწიფოების მთავრობებმა გადახედონ თავიანთ კანონმდებლობებს, პოლიტიკასა და პრაქტიკას, მათ შორის, სასწავლო ჩარჩო ხელშეკრულებებს, რათა უზრუნველყონ მათი შესაბამისობა რეკომენდაციებთან. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია განათლებაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბავშვის პერსონალური მონაცემების დამუშავებას საგანმანათლებლო დაწესებულებაში განსაკუთრებული სირთულეები ახლავს თან არაკონსენსუალური გარემოს გამო, რომელშიც ბავშვებსა და მათ ოჯახებს არ აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ საკუთარი უფლებებით – რაც გავლენას ახდენს თანხმობის ნებაყოფლობითობასა და თავისუფლებაზე. მაგალითად, ბავშვს არ შეუძლია (ან იშვიათად შეუძლია, რომელიმე წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობაში) გააფორმოს კონტრაქტი.

უფლების მატარებლები არიან არა მხოლოდ ბავშვები, არამედ მათი მშობლები ან კანონიერი მეურვეები. სკოლაში სიარულის მიზანი და ოჯახების გონივრული მოლოდინი ნებისმიერ მონაცემთა დამუშავების მიმართ არის ბავშვის მიერ განათლების უფლებით სარგებლობა. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ყველაფერს თან ახლავს შესაბამისი ვალდებულებები – პატივისცემით მოპყრობა მშობლის უფლებებისა და ფილოსოფიური შეხედულებების მიმართ, ისევე, როგორც სამართლებრივი ვალდებულებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების, უმცირესობებისა და ძირძველი ერების ბავშვების უფლებების მიმართ.

შესაბამისად, ჩნდება სამი საკვანძო და, ამავდროულად, კომპლექსური შეკითხვა, რომელზე პასუხის გაცემაც აუცილებელია.

126. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2019)10 წევრი სახელმწიფოებისთვის ციფრული მოქალაქეობის სწავლების განვითარებისა და ხელშეწყობის შესახებ, https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=090000168098de08.

1. შეიძლება თუ არა, მოვთხოვოთ ბავშვს, გამოიყენოს ხელოვნური ინტელექტის ისეთი სისტემა, რომელიც სათავისოდ იყენებს ბავშვის ქცევას (ურთიერთქმედებიდან მიღებული მონაცემების დამუშავებით) დაწესებულების, ნებისმიერი მესამე მხარის ინტერესებისთვის, კომერციული პროდუქტის განსავითარებლად ან გასაუმჯობესებლად, კერძოდ, როდესაც ბავშვის პერსონალური მონაცემები ინახება ხელოვნური ინტელექტის მოდელის სატესტო მონაცემების სახით?
2. თუკი იარსებებს ნაკლებად ინტრუზიული მეთოდი ამოცანების შესასრულებლად და სკოლები გადაწყვეტენ ბავშვებისთვის განათლების მიწოდებას ხელოვნური ინტელექტის მწარმოებელ კომპანიებში მათი პირადი მონაცემების გაგზავნის გარეშე, შეიძლება კი ოდესმე ხელოვნური ინტელექტი, გაიაროს აუცილებლობისა და პროპორციულობის ტესტი, რათა გახდეს კანონიერი?
3. უნდა სცენ თუ არა სკოლებმა პატივი მშობლების ან ბავშვების სურვილებს, მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის არმიცემის ან შეზღუდვის უფლებას, თუკი ასეთი რამ გათვალისწინებულია წევრი სახელმწიფოს მონაცემთა დაცვის კანონმდებლობაში, თუ უნდა ჰქონდეს სკოლას კანონიერი უფლება, არ გახადოს გარკვეული პროდუქტები ყველა მოსწავლისთვის სავალდებულო?

ნანილი IV
დასკვნა და
საფირობების ანალიზი

4.1. ზსკვნა

ნინამდებარე ანგარიშის მომზადების მიზანია ხელოვნურ ინტელექტსა და განათლებას შორის არსებული მრავალი კავშირის შესწავლა ევროპის საბჭოს პერსპექტივიდან, რათა დაცული იქნეს ადამიანის უფლებები და მოხდეს დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობა. ამ მიზნის აღსრულებისას, მიუხედავად „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ პოტენციალის ფართო აღიარებისა, ჩვენ აღმოვაჩინეთ და განვიხილეთ ბევრი ჰიპერბოლიზებული მოსაზრება, გამოვავლინეთ მნიშვნელოვანი გამოწვევები და დავსვით ბევრი შეკითხვა. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ როგორ უნდა უზრუნველვყოთ, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა და განათლებამ დაიცვან და არ დაარღვიონ ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა? დასაწყისისთვის კი, უნდა განისაზღვროს, თუ რომელია განათლებაში ხელოვნური ინტელექტის „სწორი ფორმა“?

ემსახურება თუ არა სკოლებში და სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში დანერგილი ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები შესაბამისი საგანმანათლებლო ამოცანების შესრულების მიზანს? აძლიერებენ ისინი სასწავლო პროცესს, როგორც არსებითად ადამიანურ და სოციალურ აქტივობას, თუ მათი მიზანია სასწავლო პროცესის „უფრო მეტი ეფექტურობა“? არის მათი მიზანი მასწავლებლის მხარდაჭერა, თუ მისი ჩანაცვლება? ახდენენ ისინი სასწავლო მეთოდების პერსონალიზებას წინასწარ განსაზღვრული სასწავლო მასალის მიხედვით, ამზადებენ ისინი მოსწავლეებს ძირითადად გამოცდებისთვის, თუ ეხმარებიან მოსწავლეებს პერსონალიზებული სწავლის შედეგების მიღებაში, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, მოახდინონ საკუთარი ინდივიდუალური მიზნებისა და პოტენციალის რეალიზება? (ჰოლმსი, 2020)¹²⁷

ამის პარალელურად, ხელოვნური ინტელექტისა და განათლების მონეტის მეორე მხარეს ჩნდება შემდეგი კითხვები: რა უნდა ვასწავლოთ ხელოვნური ინტელექტის შესახებ ჩვენს შვილებს და მოქალაქეებს სკოლებსა და უნივერსიტეტებში, პროფესიული და უწყვეტი განათლების სექტორში? როგორ უნდა დავრწმუნდეთ, რომ მხოლოდ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიურ ასპექტზე არ ვფოკუსირდებით, არამედ თანაბარ ყურადღებას ვაქცევთ ხელოვნური ინტელექტის ადამიანურ ასპექტებსაც – ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ხელოვნური ინტელექტის ზეგავლენა ადამიანის უფლებებზე, ავტონომიასა და მოქმედების თავისუფლებაზე, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, სანდოობა და ეთიკა.

127. www.nesta.org.uk/blog/right-kind-ai-education

ხელოვნური ინტელექტის სწრაფადმზარდ სექტორზე ჩვენი პერსპექტივის ნოვატორული ბუნების გათვალისწინებით, არ ვამტკიცებთ, რომ ჩვენი ნაშრომი იძლევა საბოლოო პასუხებს კონკრეტულ კითხვებზე. ნაცვლად ამისა, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი, ზოგჯერ მიზანმიმართულად პროვოკაციული განცხადებები, უფრო მეტ შეკითხვას დასვამს, ვიდრე გასცემს პასუხებს, რათა მომზადდეს ნიადაგი სამომავლო კვლევებისთვის ევროპის საბჭოსა და წევრი სახელმწიფოების ფარგლებში. ანგარიშს აჯამებს დროებითი და გარკვეულწილად პროვოკაციული საჭიროებების ანალიზი, სადაც იდენტიფიცირებულია საჭიროებები, რომლებიც, ვიმედოვნებთ, რომ ხელს შეუწყობს კრიტიკულ დისკუსიებს ხელოვნური ინტელექტისა და განათლების შესახებ, ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ტრილში.

4.2. საჭიროებების ანალიზი

როგორც ზემოთ აღინიშნა, დროებითი საჭიროებების ანალიზის მთავარი მიზანია შემდგომი კრიტიკული დისკუსიის სტიმულირება მოსწავლეებს, მასწავლებლებს, ხელოვნური ინტელექტის მკვლევრებს, კომერციულ დეველოპერებს, პოლიტიკის შემქმნელებსა და ყველა სხვა დაინტერესებულ მხარეთა შორის. იდენტიფიცირებული საჭიროებები ეყრდნობა დათქმას, რომ ხელოვნური ინტელექტი თავისთავად არ არის პრობლემური და რომ პოტენციურ გამოწვევას წარმოადგენს ის, თუ როგორ ვითარდება, იტესტება და გამოიყენება ხელოვნური ინტელექტი საგანმანათლებლო კონტექსტში, ვინ არის ხელოვნური ინტელექტის სამიზნე და ვინ – რეალური ბენეფიციარი.

